ტელეფ. 6-60 წელიწადი 1913 მესამე ტელეფ. 6-60

ოთხშაბათი, 25 დეკემბერი № 155

ფასი გაზეთისა წლიურად—2 მ. 50 კ. ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ. 1 თვით 25 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

# თემი

ოთხშაბათი 25 დეკემბერი № 155

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისთვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა 10 საათიდან 1 საათამდის რედაქციაში Ольгинская, 4 д. Діасамидзе ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება აქვე კვირა უქმე დღეებს გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.

საპოლიტიკო და სალიტერატურო ორშაბათის გაზეთი

წელიწადი მეოთხე

„თემი“

წელიწადი მეოთხე

რედაქციისა და კონტორის ბინა: ოლღას ქუჩა, სახლი დიასამიძისა, № 4

გაზეთი სდგას პარტიათა გარეშე. — გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წინა წლებში

ხელისმომწერელნი, რომელნიც გადიხდიან გაზეთის წლიურ ფასს, მიიღებენ ორ საჩუქარს

1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება აკაკის პოემა „რაჭა-ლეჩხუმი“

რაჭა-ლეჩხუმში მისი მოგზაურობის ამბავი, წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა (ქარტა).

შენიშვნა: „თემი“-ს მომავალ იმ წლიურ ხელისმომწერლებს, რომელთაც ამ წიგნის დასაკვეთად უკვე ცალკე აქვთ გამოგზავნილი ფული, თუ მეორე ცალის მიღებას არ მოისურვებენ, ეს შემოტანილი ფული უკანვე დაუბრუნდებათ.

2) ნიკ. ალ. დუბროვსკის თხზულება „ავგუსტ ბებელი“

ეს თხზულება დაწერილია საკუთრად „თემი“-სათვის.

ხელისმოწერა მიიღება: „თემი“-ს რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

ფასი გაზეთისა: წლიურად 2 მ. 50 კაპ. ნახევარ წლით—1 მ. 25 კაპ. ერთი თვით—25 კაპ. კონტორა ღიაა—ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Ольгинская, 4, д. Діасамидзе, Редакція газ „Теми“.

რედაქტორ გამომცემელი გრიგოლ დიასამიძე.

## ახალი კლუბი

საზამთრო შენობა

ორშაბათს, 30 დეკემბერს

## სინემატოგრაფის საშუალებით

აჩვენებენ საინტერესო სურათებს. ♦ „ახალი კლუბის“ სიმებიანი ორკესტრი დაუკრავს სხვადასხვა მუსიკალურ პიესებს.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

## ქართული თეატრი

ტელეფონი № 795. წარმოდგენა № 49—8,

პარასკევს, 27 დეკემბერს 1913 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

ი. ზარდალიშვილის საბენეფისოდ

წარმოდგენილი იქნება:

ვ. შექსპირის ტრაგედია, ახალი მიზან-სცენებით

## ჰამლეტი

5 მოქმ. და 10 სურათად, თარგმანი ი. მაჩაბლისა.

ჰამლეტის როლს შეასრულებს მობენეფისე.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ასათიანი, დავითაშვილი, მდივანი, შოთაძე, მაჭავარიანი, თოიძე, ქოდალაშვილი, მამულაშვილი, სინაურიძე, ბ.ნნი აბაშიძე, ბარველი, არადელი-იმხნელი, გუნია, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, მესხი, სარაული, ხონელი, ფრანგიშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი საბენეფისოა.

რეჟისორი: ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: „მარგარიტა გოტიე“, „ჩრდილოეთის გმირნი“, „დონ-კარლოსი“, „ამოცანა“, „ედიპე კოლონაში“ და სხვ..

ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.

## ახალი კლუბი

საზამთრო შენობა

პარასკევს 27 დეკემბერს 1913 წ.

ჩვეულებრივი

## სინემატოგრაფიული სურათები

მუსიკალურ პიესებს დაუკრავს ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

### თბილისი, 25 დეკემბერი

დღევანდელი ნომერი ჩვენი გაზეთისა უკანასკნელია ამ წელიწადში.

ჩვეულებისამებრ ჩვენ უნდა განგვეხილა ყველა ის საკითხები და ამბები, რომელთაც მიიპყრეს ჩვენი ყურადღება მიწურულ წლის განმავლობაში. მაგრამ ნაგრძნობი და ნაფიქრი იმოდენა მასალას შეადგენს, რომ მის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება სხარტად პატარა მიმოხილვაში.

ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ ცალკე ავსწეროთ და გამოვსცეთ ყველაფერი ის, რაც ჩაისახა „თემ“-ში სამი წლის განმავლობაში. ეს მომავალი წერილი ერთის მხრით იქნება ობიექტიური, მიუდგომელი აღწერა სამი წლის განმავლობაში მომხდარი საკითხების და ამბებისა, წარმოებულ კამათისა, მეორეს მხრით კი ჩვენი აღსარება, თუ რით ვხელმძღვანელობდით, როდესაც რომელსამე საკითხს ვეხებოდით და ჩვენი შეხედულების თანახმად ვსწყვეტდით.

მაგრამ არის საგანი, რომლის გვერდის ახვევა ამ ჟამად ჩვენ არ შეგვიძლია. ეს საგანი ზოგჯერ დრო-გამოშვებით თვალსაჩინოდ გამოჰყოფს ხოლმე თავს და გვიშხამავს ჰაერს,

ეს არის უთანხმოება ზოგიერთ საკითხებში კავკასიის ორი დიდი ერის სომხებისა და ქართველების შუა.

რამდენადაც ვაკვირდებით, ის საშინელი ანტაგონიზმი, რომელმაც იჩინა თავი ამასწინად, შედეგია მხოლოდ ორივე ერის მოწინავე წრეების ერთიერთმანეთის გაუცნობლობისა. ჩვენის აზრით, ამათ რომ მეტი მსვლელობა ჰქონოდათ ერთმანეთში, მეტი ხალისი ერთიერთმანეთის გაცნობისა, სურათი სულ სხვა იქნებოდა.

ჩვენ ძალიან გვახარებს ის ამბავი, რომ სომხის საზოგადოების ერთ ნაწილში ჩვენი ამასწინდელი მოწოდება ორივე ერის მოღვაწეების თათბირის შესახებ თანაგრძნობით მიუღიათ.

დიაღ! ეს თათბირი ახლავე უნდა მოხდეს. გავლენიანი, გულწრფელი, დემოკრატიულად მოაზრე მოღვაწენი ორივე მხრიდან უეჭველად უნდა წარუდგნენ ერთმანეთს, გულ-ახდილად გაარკვიონ, რა იწვევს უთანხმოებას და რა საშუალება უნდა გამოიძებნოს ამ უთანხმოების თავიდან ასაცილებლად.

ეს საკითხი სწორედ საამდროოა. ამ მოვალეობის შესრულებას გვიკარნახებს ჩვენი ერების სიყვარული, მამულიშვილობა. ვისაც არა სურს ამ თათბირში მონაწილეობის მიღება, ის სწორედ თავის ხალხის მტრად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც არ დავიჯერებთ, რომ არ შეიძლებოდეს საერთო ზომების გამოძებნა.

თუ კი სამტრად გამზადებული ერები სცხრებიან და ამოღებულ იარაღს ისევ ქარქაშში აგებენ თავიანთ წარმომადგენლების ძმურ მოლაპარაკების და თათბირის შემდეგ, ჩვენ რაღა დაგვემართა? საიმისო რა გვჭირს?

არის საგულისხმო ნიშნები, რომელიც გვეუბნება, რომ საქმე არც არის ისე წამხდარი, როგორც ზოგიერთებს სურთ მოგვაჩვენონ.

აი მაგალითიც. ამ დღეებში ქართულ და რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი იყო კიევიდან მოწერილი საგულისხმო ამბავი, თუ როგორ სომეხმა და ქართველმა სტუდენტებმა იქ იდღესასწაულეს აკადემიკოს მარრის 25 წლის მეცნიერულ მოღვაწეობის დღესასწაული. სომეხი და ქართველი ახალგაზრდები კითხულობდენ თავიანთ მოხსენებას ცნობილ მეცნიერის შესახებ.

ეს ამბავი ხდება სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენი ორი ხალხის შორის თითქოს მწვავდება ურთიერთობა.

ყველა ეს ხდება სწორედ იმ მეცნიერის სახელის გარშემო, რომელსაც, იყო დრო, როცა უნდობლად უცქეროდენ ქართველი ვაშა-პატრიოტები, ახლა კი ჯერი მიდგა ამათ სომხის მოძმეებსა და თანამოაზრეებზე.

ამგვარად კიევში გადატყორცნილმა ორივე ერის ნორჩმა ძალამ მიგვითითა ღირსეულ და მისაბაძ მაგალითზე.

იმათ გამონახეს საერთო ნიადაგი საერთო მუშაობისათვის.

ამ ნიადაგს ორივე ერის ინტერესების შეთანხმებისას დავეძებთ ჩვენც აქ.

ღრმადა გვწამს, თუ მოვინდომეთ გულწრფელად, ეს ნიადაგი მოიძებნება.

ეს საქმე გასაკეთებლად ძველმა წელმა დაუტოვა ახალს.

დიაღ! თათბირი უეჭველად უნდა მოხდეს. დარწმუნებულიცა ვართ იგი მოხდება და კეთილ ნაყოფსაც გამოიღებს...

## კაცთა მხსნელად შობილი

ბნელ-უკუმეთით მოცულს ცაზე გამოჩნდა მოკაშკაშე ვარსკვლავი...

იროდე მეფეს მოგვთ აუწყეს ქვეყნად კაცთა მხსნელის—მესიის შობა!..

განრისხდა იროდე მეფე: კაცთა მხსნელად მას მხოლოდ თავ სი თავი მიაჩნდა, ცის ქვეშ თვის უმაღლესად არავის სცნობდა...

ცაზე ობლად გამოჩენილი ვარსკვლავიკი უფრორე კაშკაშებდა, მოგვთ ღრმა საიდუმლოებით მოცულ მომავალის ნიშნებს შთააგონებდა...

„ჭეშმარიტად იგი არს მესია, კაცთა მხსნელად შობილი, მტარვალთ ბატონობის დამამხობელი!“ თითქოს იდუმლივ მეტყველებდენ მოგვთა სახენი, მათი თვალთა გამოხედვანი...

და იროდე—მეფემ იგრძნო, რა ხიფათს შეამთხვევდა ახლადშობილი, თუ დროით არ ილონებდა რამეს...

ამიტომ გასცა ბრძანება, ეპოვნათ ახლადშობილი და მოეკლათ...

გარნა მტარვალის მზირთ ვერ მიაკვლიეს ახლადშობილი...

ხოლო განრისხებულმა მტარვალმა ბრძანა ურიასტანის ყრმათა ამოჟლეტა, რომ იქნება მათ შორის ახლადშობილიც მოჰყოლოდა...

მთელი ურიასტანი უმანკო სისხლით მოირწყო, მშობელთა ტირილი ცასა სწვდებოდა, გასწყდა მრავალი ყრმა სისხლით გაუმაძღარ იროდეს მეფობის სასკეთილდღეოდ...

დედათა გოდება, უმანკოთა ამოძახილი მტარვალის გულს არა სწვდებოდა... მტარვალს ჰსურდა ჯალათის ხელით მოესპო კაცთა მხსნელად შობილი, ახალ ცხოვრების ვარსკვლავი...

მაგრამ შესცდა... ახლადშობილი გადარჩა...

გადარჩა იგი, რომ აღიზარდოს, გაძლიერდეს, დევნულ-შევიწროვებულთ წინ წარუძღვეს, მათის შეკავშირებით მტარვალთ ბატონობა დაამხოს, ქვეყნიერობას ძმობის, თანასწორობისა და სიყვარულის მცნება განუმტკიცოს!..

იოსებ არიმათიელი.

## ნაციონალიზმის ჭვარტლში*)

არ არსებობს იმაზე უარესი დაბრკოლება პროგრესის გზაზე, როგორც აგრესიული ნაციონალიზმია ქვეყანაში, სადაც სხვა და სხვა ხალხია ერთმანეთში არეული.

ნაციონალიზმი თვით არ არის მავნებელი. იგი თავის და თავად არა თუ ბუნებრივი, კანონიერი გრძნობაა, არამედ ისეთიც, რომელიც ღირსია სრული პატივისცემისა.

რომელი გრძნობა შეიძლება იყოს იმაზე უმშვენიერესი, რომელიც გამოიხატება თავის ხალხისადმი სიყვარულში და მისთვის ბედნიერ და თავისუფალ ხვედრის მინიჭების სურვილში,—მეტადრე მაშინ, როდესაც ეს გრძნობა ჰგულისხმობს თავის ხალხს მხოლოდ როგორც სწორუფლებიან წევრს სხვა ხალხთა ოჯახისას და როდესაც ადამიანი იბრძვის თავის ხალხის და იმავე დროს მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის.

მაგრამ არის, საუბედუროდ, სხვა ჯურის ნაციონალიზმიც,—ნაციონალიზმი არა შემოქმედებითი, არამედ აგრესიული, ისეთი ნაციონალიზმი, რომლის აღმსარებელთ თავის ხალხის ბედნიერება სურთ ააგონ სხვა ხალხის უბედურებაზე.

იქ, სადაც ასეთი ნაციონალიზმი ახერხებს შხამით სავსე ფესვების ჩაყრას, იქ, სადაც ხელს უწყობენ ნაციონალურ შუღლის ატეხას იმ ზომამდე, რომ ეს შუღლი ფეხს იკიდებს სად მშრომელ მასსაშიაც, იქ ჩნდება სწორედ ის საშინელი დაბრკოლება, რომელიც ზემოდ აღვნიშნეთ.

მაგალითებიც ახლო გვაქვს. ავიღოთ ავსტრია და იქაურ ერთა ბრძოლა, იქაური თითქმის შეჩერებული სოციალური პროგრესი,—ის ავსტრია, სადაც ნაციონალურ შუღლის გამო ვერ მოქმედებენ საოლქო საბჭოები (სეიმები), სადაც თვით საიმპერიო პარლამენტიც კი ველარ ახერხებს მუშაობას, სადაც ინიშნება პარლამენტის-გარეშე საქმიანი სამინისტრო და სადაც ნაციონალურმა ქიშპმა განავითარა კანონმდებლობა კონსტიტუციის მე-14-ე მუხლისა, რომელიც რუსეთის კონსტიტუციის 87 მუხლს უდრის.

ეს მაგალითი ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, მეტადრე იმათთვის, ვისაც თეორიულად ვერ წარმოუდგენია ნაციონალურ შუღლის მავნებლობა.

საუბედუროდ ყველას არ ასხან ყურნი სმენად და თვალნი ხედვად.

არის კლასები, რომელთათვის ხელსაყრელია ერთაშორისი შუღლი, რომელნიც ერთი ხალხის მასსას უსევენ მეორისას შესაძლებელია ცხადად ვერ შეგნებულის მიზნითაც, რომ მასსის ყურადღება მიაქციონ მხოლოდ ნაციონალურ ქიშპსა და დაჰფარონ ამავე დროს სოციალური ბრძოლა.

ეს შეადგენს ჩვეულებრივ საგანს ნაციონალისტურ ქადაგებისას.

ამიტომ აგრესიულ ნაციონალიზმის ქადაგებას ჩვეულებრივ ეწევიან ბურჟუაზიული ანუ სათავადაზნაურო პარტიები; ის პარტიები კი, რომელნიც დამცველნი არიან პროლეტარიატის და სოფლის მშრომელ მასსის ინტერესებისა, ეწინააღმდეგებიან ამ აგრესიულ ნაციონალიზმს. ამ მოწინააღმდეგეთა რიგში სდგებიან თვით ის ლიბერალური პარტიები, რომელთაც თავიანთ პარტიულ პროგრამაში შეაქვთ ფართო მასსისათვის საინტერესო საკითხები. არ ვილაპარაკებთ აქ დასავლეთის სოციალისტურ პარტიებზე. ესენი თუ ჭეშმარიტ სოციალიზმს აღიარებენ, უარჰყოფენ უეჭველად აგრესიულ ნაციონალიზმს; ისეთი ლიბერალურ დემოკრატიული პარტიაც კი, როგორიც არის ინგლისის ლიბერალთა ჯგუფი, როგორც კი თავის პროგრამაში შეიტანა ფართო სოციალური რეფორმა, იძულებული გახდა სასტიკი ომი გამოეცხადებინა კონსერვატორების მაჩხუბარ ანტი-ირლანდიურ ნაციონალიზმისათვის. სწორედ ეს კონსერვატორები ყველგან გამოდიან აგრესიულ ნაციონალიზმის მომხრეთ და მქადაგებლად. ეს გარემოება გვაიძულებს ჩვენ გვერდი ავუხვიოთ ასეთ ქადაგებას და ნაციონალურ შუღლის გამაძლიერე-

*) ეს წერილი კარგა ხანია გამოგვიგზავნა ავტორმა, მაგრამ დღევანდლამდე ვერ მოვახერხეთ მისი დასტამბვა.

რედ.

ბელი საკითხების მაგიერ დავაყენოთ სოციალური ანუ ნაციონალური —ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით— პოლიტიკის საკითხები.

ის, რაც ახლა ხდება კავკასიაში, არის შედეგი შორსგანუმჭვრეტელობისა. პოლიტეხნიკუმის შენობის საკითხის გარდაწყვეტილებამ ნაციონალისტური ვნებათაღელვა ასტეხა ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილში და სომხების წინააღმდეგი ქადაგება დაჰბადა.

თვით პოლიტეხნიკუმის საკითხმა დაჰკარგა თავის ფერი და დაუცალა ადგილი სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხს.

ზოგიერთი ქართველი პუბლიცისტები ამტკიცებენ, რომ მშვიდობიანი განწყობილება არ შეიძლება არსებობდეს ქართველებსა და სომხებს შუა.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრესიული ნაციონალიზმი როგორც ქართველების, ისე სომხების მხრით. ერთის მხრით ზოგიერთ ქართულ და რუსულ-ქართულ გაზეთების უკანასკნელ დროის ნაწერებიდან ნათლად გამოსჭვივის, რომ აგრესიული ნაციონალიზმი არსებობს ქართველ საზოგადოების ერთ ნაწილში. მეორეს მხრით შედით საქალაქო საბჭოში, გამოიკვლიეთ, რომელ ეროვნებას ეკუთვნიან ხმოსნები, და დარწმუნდებით, რომ სომხების იმ ჯგუფში, რომელიც ხმოსნების ამორჩევაში ღებულობს მონაწილეობას, არსებობს ასეთივე აგრესიული ნაციონალიზმი.

სომეხ-ხმოსნების გადაჭარბებული რიცხვი არ შეიძლება აიხსნას მარტო საარჩევნო კანონით. ეს იქნებოდა ფაქტების წინაშე თვალებზე ხელის აფარება. რომ სომხის ბურჟუაზიაშიაც არსებობს აგრესიული ნაციონალიზმი, —ეს ეჭვს გარეშეა.

რომ ორივე ეროვნებაში იმყოფებიან აგრესიულ ნაციონალიზმის მქადაგებელნი, ეს არ ნიშნავს კიდევ, ვითომც ამ მოვლენასთან არ იყვეს საჭირო ბრძოლა, რომ შესაძლებელია გულ-გრილად ვუცქეროდეთ, თუ რა ნაირი შხამი ითესება ორივე ხალხის მასსაში.

არა და არა! პირიქით დიდი ბრძოლაა საჭირო!..

განსაკუთრებით ქართველები უნდა ეხლავე წინააღუდგენ ნაციონალურ შუღლის ქადაგებას. ქართველებს ეს სიძულვილი უფრო ავნებს, ვიდრე სხვას.

ქართველები ოცნებობენ, და სრულიად სამართლიანადაც, საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიაზე. ამ მხრით ქართველი ხალხი ფრიად ბედნიერ პირობებში იმყოფება. მიუხედავად მუდმივი ბრძოლისა მტრებთან, ქართველებმა მოახერხეს ქართველ მასსით მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიის შენარჩუნება. თუმცა ყოველი მხრით აწვებოდა მტერი საქართველოს, მაგრამ მისი საზღვრები მაინც გამორკვეულია და ამ საზღვრებში მომწყვდეული ტერიტორია, ცოტას გამოკლებით, დასახლებულია ქართლოსიანთა ტომით.

თუ კიდევ ყველა ამას მივუმატებთ ნაციონალურ მაღალ თვით-შეგნების შენახულ ეროვნულ კულტურას, აგრეთვე პოლიტიკურ მაღალ შეგნებას, ჩვენთვის ცხადი შეიქნება, რომ საქართველოს უფლება ავტონომიაზე ნაკლები არ არის პოლონეთისაზე. ეს ავტონომიის საკითხი მხოლოდ დროის საკითხია. ადრე თუ გვიან რუსეთი ამ უფლებას აღიარებს და ავტონომია განხორციელდება, მაგრამ საქართველოს ავტონომიას ბევრი მტერი ჰყავს. მის წინააღმდეგ უფრო მეტად, ვიდრე პოლონეთის ავტონომიის წინააღმდეგ, მოქმედობს რუსის პოლიტიკურ პარტიების მთელი მემარჯვენე ფრთა. თვით კადეტების პარტიაშიაც არის მიმდინარეობა, რომელიც უარჰყოფს ავტონომიას, მაგრამ მას ჰყავს უფრო საშიში მტერი მემარჯვენე პარტიების ხსენება იმ დროს, როდესაც გადასაწყვეტი იქნება საქართველოს ავტონომიის საკითხი, აღარც კი იქნება, მაგრამ ის მტერი, რომელზედაც მოგახსენებთ, მაინც დარჩება. ეს მტერი ქართველი შოვინისტებია, რომელნიც ამწვავებენ ქართველ-სომეხთა ურთიერთობას, აძლიერებენ შუღლს და ამნაირად სდგამენ ავტონომიის წინ ძნელად ასაღებ სიმაგრეს. ეს ნაციონალიზმი შეაფერხებს ერობის და ნაფიც მსაჯულთა შემოღების საქმესაც, თუ შუღლის და შეუგუებლობის ქადაგებამ მასსაშიაც გაიდგა ფეხი. სხვა ნაციის უმცირესობას შეეშინდება ამ ერობისა. დაიბადება ისეთივე სურათი ხალხთა ურთიერთობისა, როგორსაც ვხედავთ დღეს ავსტრიაში, სადაც ყოველ უბრალო ნაბიჯის გადადგმას პროგრესის გზაზე წინ ხვდება ნაციონალური საკითხი და ქიშპი.

ნუ თუ ესა სურთ ორივე ერის ნაციონალისტებს, რომელნიც ამწვავებენ ნაციონალურ ურთიერთობას?

ნუ თუ ამათ არ ესმით, რომ როდესაც ჩაქრობის მაგიერ აძლიერებენ ამ შუღლს, ისინი ეხმარებიან **მესამეს**, რომელიც სიხარულისაგან ცას ეწევა.

თუ ამას ვერ ხედვენ ისინი, გარეშესთვის, ხომ, ეს ცხადი და ნათელია....

**თ. სიბირსკი.**

# ივერიკო

შენ იყავ გრძნობა სპეტაკ ფრთოსანი, დაუსაბამოთ ეთერში მსრბოლი;
შენის სხეულის შიშველ მშვენებას ჩემს რჩეულს ერსა სხივად აფენდი.
თუმც არ ენახე, მაინც გსახავდნენ თვის ნათლის სვეტად, ცოცხალ ღვთაებად
და ღაღადებდნენ კიდით-კიდემდე: ო ივერიკო, ჩვენო საუნჯევ!

ერის გულიდან აღმოვიზარდე და როს პირველად ნანა მიმღერეს,
ხმა მომხიბვლელი შენს უკვდავ ყოფნას გულს ახლად შობილს აგრძნობინებდა,
და შემიყვარდი ჩემი სიცოცხლე და შემიყვარდი შენ ჩემი სული.

ყრმა შეველ ერთხელ ერთ მიტოვებულ სამლვთო ტაძარში,
რადგან გამეგო, რომ იქ ჩანგური ჩემის წინაპრის ინახებოდა.
ხელთ ვიპყარ იგი და სიმთ ჩამოვკარ.
და ჰანგმა თვისით დაიწკრიალა: ო ივერიკო! ჩემო სიცოცხლევ!

მაშ შენ იგივ ხარ, ჩემო ღვთაება,—
რაც უწინ იყავ სულის მშვენება,
აზრი და გრძნობა ჩემის ერისა! ო, ივერიკო!

ეგ შენი სახე ნათლად ვიხილე მაგ შენს უსაზღვრო მგრძნობიერ გულში,
ვით მას ჰხედავდნენ დასაბამიდან შენი რჩეულნი;—
ვხარობ დღეს შვებით ახლად შობილის ძველ უკვდავებით,
ვხარობ თვით შენით ერის საუნჯით, რომ აღმომზარდე შენის წიაღით,
ვხარობ და ჩანგზე სიხარულს ვამღერ: ო ივერიკო, ჩემო სიცოცხლევ!

შენ ხარ ნიავი ჰაერ-ხატება, რომელს მზის სხივთა საპოსი გფარავს;
მე ყვავილი ვარ ჩემის ერისა, რომელიც უცხო კონად შეკრულა.
შენის ცხოვრების სუნთქვით მეც ვსუნთქავ, რომ განთიადზე გამოჰქროლებ
და მამოძრავებ და შთამაგონებ, ო უხილავო უგრძნობ თვალთათვის!!

ერთ გაზაფხულის მხიარულ დილას
გამომიქროლე, თან წარმიტაცე
და შემიყვანე სულის წიაღში, სად მამაპაპის სიბრძნე ყუჩობდა.
მითხარ: აკრიფე იგი საუნჯე და გარდაეცი—ვინც გულით გიყვარს!
და წამოვუღე იგი ჩემს ერსა, მაგრამ როს მწუხრი ბინდი მოვიდა,
შენს სამსხვერპლოს წინ ლოცვად წარმოვსდეგ
და რა ვიხილე?—იგი საუნჯე, მე რომ ერს ვუძღვენ შენგან მოძღვნილი,
შენს ფერხთა ქვეშე მწყობრად ელაგა, ო ივერიკო, ერის ღვთაებავ!

ერთხელ ჩემს სულში რომ ჩამოგხედე,
მოწყენით გნახე, შავად მოსილი.
სევდა ჩემს სულსა შემოგწოლოდა,
ცრემლი ჩემს თვალთა გადმოგდიოდა,
ვკითხე გულს მოთქმით რაზედ ჰგლოვობდი?
და მეპასუხე: ჩემნი რაინდნი ქართლოს და კახოს,
და ჩემნი სწორნი ტურფა იმეროს, გუროს, მეგრელოს
მტერმა შემიპყრა—ქართლოს მომიკლეს, ქართლოს დამიჰრეს
და დანარჩენნი ტყვედ ჰყვეს ციხეში.
ამ დროს დავკარგე ნორჩ ყვავილთაგან თხზული გვირგვინი,
რომელიც მიძღვნა მე კოლხოს პაპამ.
და მას დავეძებ, და მისთვის ვგოდებ.
მოველ აწ ჩემთან განთიადისას,
მოველ აწ ჩემთან მწუხრსა საღამოს,
და მომიწოდე ჩემის სიმღერით,
და მომიწოდე ახალ რაინდებს:
ვით ვპოვო კვალად ჩემი გვირგვინი!

**სანდრო შანშიაშვილი.**

ლეიპციგი.

# იმავე საგანზე

ეროვნული საკითხის შესახებ წერა ისე, როგორც მე მესმის და მინდა, დღევანდელს პირობებში შეუძლებელია. ჩემს შესახებ ვსწერო—და ეს ვისთვის რა საინტერესოა!

მაგრამ ნ-ძის წერილმა „სიტყვა“-ში დამარღვევია სიჩუმე.

ნ-ძე, როგორც ადამიანი, როგორც მწერალი, იმ პირთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთადმი განსაკუთრებულის პატივისცემით ვიყავი და ვარ აღჭურვილი; იმის თანამოაზრეთა შორის ის უფრო კარგად მიცნობდა, ვიდრე სხვები. ამიტომ მეგონა, მისი წერილიც უფრო მიუდგომელი, ობიექტიური და გულწრფელი იქნებოდა, მაგრამ მოვსტყუვდი და მეწყინა.

როდესაც გადავიკითხე ფელეტონი, ჩემს თავს დავეკითხე: რისთვის აიღო ნ-ძემ ხელში კალამი მეთქი.

მხოლოდ იმისთვის, რომ მკითხველებისათვის ეუწყებია: გომართელი გაფედერალისტდაო.

კი მაგრამ ეს ხომ იმისმა თანამოაზრეებმა იმაზედ ადრე სთქვეს! მაშ რაღა საჭირო იყო მთელი ფელეტონის დაწერა მხოლოდ იმისთვის, რომ სხვების ნათქვამი ერთხელ კიდევ გაემეორებია?

მაგრამ ალბად საჭირო იყო, რომ ეს ბრალდება ნ-ძეს გაემეორებია თვისი ჯარის კაცების თვალების ასახვევად.

ნაციონალური კითხვა მომიზეზებაო, სწერს ჩემს შესახებ ნ-ძე, თორემ მისი სული და გული სხვაგან არისო და სხვ.

ჩვენში ძალიან ეადვილებათ ხოლმე სხვის სულსა და გულში ხელის ფათური, რაც შედეგია ჩვენი უკულტურობისა.

ჩვენში აზრს აზრითვე კი არ ეკამათებიან, არამედ პიროვნების შეურაცხყოფით.

ნ-ძეს მოეთხოვება, რომ დაიცვას აუცილებელი პირობა პიროვნების პატივისცემისა და შეუხებლობისა, როცა სხვის შეხედულებასა და რწმენას არჩევს.

ვეთანხმები ნ-ძეს, რომ ჩაწიხვლა ამხანაგებისა კარგი არ არის, მაგრამ მე არც მიფიქრია ჩაწიხვლა; ის, რაც მე ვთქვი და მუდამ ვიტყვი, როცა შემთხვევა მომეცემა, არ არის ჩაწიხვლა.

რაკი ნ-ძე წინააღმდეგია ჩაწიხვლისა, სად იყო მაშინ, როდესაც მისი ზოგიერთი თანამოაზრენი ერთგულად მწიხლავდენ 1907-დან მოკიდებული, როდესაც კი ეროვნულ საკითხს ოდნავად მაინც შევეხებოდი ჩემებურად? მაშინ ნ-ძე სდუმდა და ამ დუმილით მათ აქეზებდა.

გომართელმა ზურგი უჩვენა მათ, ვინც ყოველი წაფორხილების დროს საშველად ხელს გაუწოდებდაო, სწერს ნ—ძე.

განა ცოტაა იმისი მაგალითი, როცა ნ—ძის ზოგიერთი თანამოაზრე, რომელიც ჩემთვის გაუგებარის სიბრაზით მწიხლავდა ყოველთვის, როცა კი, მათის აზრით, წავიფორხილებდი ხოლმე! სად იყო მაშინ სხვისი ან ნ—ძის საშველად გამოწვდილი ხელი?

ის ამისთანა დროს ყოველთვის განზედ არის, გაჩუმებული და, რა უტაქტობაც უნდა ჩაიდინოს მისმა ამყოლდამყოლმა, სდუმს.

დასის ზოგიერთ წევრებს ჩემი ყბადაღება რაღაც დიდ მოთხოვნილებად გადექცა. აი ასეთი მოთხოვნილებით იყო გატაცებული „ფიქრის“ ავტორიც, როცა ჩემს წინააღმდეგ გამოილაშქრა, სანამ გაიგებდა, რაში იყო საქმე.

აბა სად არის აქ მაშველად გამოწვდილი ხელი? ჩემი ყბად-აღება სწორედ მაშინ გადაექცა ბევრს მოთხოვნილებად, როცა ეროვნულ საკითხში მიუტევებელი თავისებურობა შემნიშნეს. ეს თავისებურობა ვერ მაპატიეს, თორემ წინეთაც მქონია ბევრი უთანხმოება, როგორც „ფიქრმა“ დაამტკიცა, მაგრამ ამგვარი იერიში აზრად არავის მოსვლია.

აქედან ცხადია, რომ ეროვნული საკითხი მომიზეზება-კი არ არის, როგორც ნ—ძე ამტკიცებს, არამედ ეს არის თავი და თავი.

ეროვნული საკითხი ჰღირს იმად, რომ ჩემს წინააღმდეგ გამოილაშქროს სხვებთან ერთად ნ—ძემაც.

საყურადღებოა ნ—ძის ფელეტონში რამდენიმე ალაგი, რომლებზედაც მინდა ცოტა ხანს შევჩერდე.

ერთგან ნ—ძე სწერს: „ჩვენში დიდი თავისუფლება არის აზრისა ნაციონალურ კითხვებზე, ჩვენში იმყოფებიან მომხრენი საქართველოს ტერიტორიალური ავტონომიისა“ და სხვ.

მერე სად არიან ეს პირები? რატომ არ ისმის მათი ხმა? სად იცავენ ისინი თავის აზრს? რატომ არ ცდილობენ, რომ მათი შეხედულება ეროვნულ საკითხზე ხალხის ყურს მისწვდეს?

რა ფასი აქვს ისეთ აზრს, რომელიც ცხრა-კლიტულშია მომწყვდეული?

ისინი გაჩუმებული არიან და მათაც ჰგუობენ, სანამ ჩუმად არიან.

და თუ ხმა ამოიღეს, იცოცხლეთ, მათ დღეს დააყრიან ზოგიერთი კალმოსნები.

თანამოაზრეთა პატარა ნაწილი მოლჩალინებად გადაქცეულან და ამას უძახის ნ—ძე აზრის თავისუფლებას.

მეცა მქონდა პატივი, სანამ მოლჩალინი ვიყავი ეროვნულ საკითხში, მაგრამ ახლა ამეყარა ეს პატივი.

რა ვუყოთ: ეროვნული საკითხი ჰღირს იმად, რომ პატივი ამეყაროს.

მეტად საყურადღებოა ნ—ძის წერილის ის ადგილი, სადაც ის „ინოროდ-

# შობის ხე

(ესკიზი)

I.

შუა ღამე იყო. თოვლი ბარდნიდა და თეთრ ზეწარს აფარებდა ქალაქს; ყველას მოეძებნა თბილი კერა და ლხინობდა, შობას დღესასწაულობდა. ქუჩებში მოძრაობა შეჩერებულიყო, სიჩუმე სუფევდა და მხოლოდ ხანდისხან დაირღვევოდა ხოლმე ეტლების გავლის დროს, რომლებიც მიაქროლებდნენ შინისკენ შეზარხოშებულ მგზავრებს.

ელექტრონი ჩაექროთ და სახლების სანომრო ფარნები-ღა ბჟუტავდნენ. არავინა სჩანდა გარდა მეეზოვის, რომელიც ღიღინით მიმოდიოდა, იორთქლავდა ხელებს და აბაკუნებდა სიცივისაგან გათოშილ ფეხებს.

აქვე იდგა ერთი ეტლიც, რომლის კოფოზედაც ჩასძინებოდა მუშტრის მოლოდინში მეეტლეს. ცხენები მოუსვენრობდნენ, ფრუტუნებდნენ და პატრონს ძილს უფრთხობდნენ.

შორს მოსჩანდა პოლიციელიც...

II.

კედელ-კედელ სიბნელეში მოიპარებოდა პატარა ვანო და შიშისაგან დამფრთხალ თვალებს აცეცებდა ირგვლივ.

დაკონკილ სველ ფარაჯაში გამოხვეულიყო, რომლის კალთებზედაც ყინულის ლოლოები დაჰკიდებიყო; ძაგძაგებდა სიცივისაგან და სიცივესთან ერთად შიმშილისაგანაც შეწუხებული წელში საცოდავად მოხრილიყო. გაცვეთილ ქალამნებში თოვლ-ჭყაპი შესდიოდა და უბუჟებდა ფეხებს.

ის დღეს ჩამოსულიყო სოფლიდან და პირველად ჰხედავდა ქალაქს, რომელიც მას ამ-ქვეყნიურ ედემად ჰქონდა წარმოდგენილი და თუმცა გარეგნობით მართლაც სამოთხედ ეჩვენა, მაგრამ მასპინძლობა კი ჯოჯოხეთური გაუწია.

მთელი დღე დადიოდა და ყველას ეკითხებოდა და ეხვეწებოდა, რომ ეჩვენებინათ სად იდგა თავისი ბიძა, რომელიც ამ ქალაქში სცხოვრობდა, მაგრამ არავინ გამოჩნდა მისი ბიძის მცნობელი და ასე უგზო-უკვლოდ ხეტიალში დაუღამდა და ეხლა არ იცოდა, სად შეეფარებინა თავი. ეძებდა, მაგრამ ვერსად ჰპოვებდა.

მიდიოდა და ემალებოდა ღამის გუშაგებს, რადგანაც გაგებული ჰქონდა, რომ ვისაც მამასახლისისაგან მოწმობა არ ექნებოდა, დაიჭერდნენ და ციხეში ჩასვამდნენ.

ვანოს არავითარი დამამტკიცებელი საბუთი თავის ვინაობისა არა ჰქონდა და ეს აშინებდა.

ნაცვალმა არ მისცა, რადგანაც პატარა იყო. ობლად შთენილი ვიდოდა და პატარა ნორჩი გული დაჰლონებოდა; ცრემლები აღრჩობდნენ, სიმწარისაგან სახე ეწოდა, ნერწყვი უშრებოდა, პირი მოეკუმა და კბილები უკაწკაწებდა.

მიდიოდა და თითონაც არ იცოდა საით.

III.

ვანოს აგონდება წარსულნი დღევანდელი დღენი, როდესაც დედ-მამა ჰყვანდა. მაშინ მაძღარი იყო ხოლმე, ლხინობდა, თამაშობდა, დადიოდა ამხანაგებთან ერთად სოფელში კარდაკარ და „ალილოს“ ჰგალობდა, იღებდნენ ჩიჩილაკებს...

ეხლა ყველაფერი გამქრალია ვანოსთვის. მწუხრის მანდილით არის გარემოცული: მამა გადაასახლეს არეულობაში მონაწილეობისათვის და დედა-კი სხვას გაჰყვა ხასად. უღალატა ქმარს, პატარა შვილს. დასტოვა ობლად და ასე უპატრონოდ მიტოვებული ყველამ აბუჩად აიგდო. არავინ შეითვისა ეული ვანო. თვით დედმამაც-კი არ გაუღო კარი კუროს სურვილის თანახმად. ვანოც ადგა და მიაშურა ქალაქს, სადაც ეგულებოდა ბიძა, რომლისაგანაც მოელოდა მფარველობას.

IV.

მწარე ფიქრებით შეჭურვილ ვანოს მოესმა როიალის მომხიბლავი ხმა და ყმაწვილების ჟრიამული. შესდგა და მწუხარებით აღსავსე თვალები აღაპყრო ზევით, საიდანაც მოესმა ხმაურობა.

სამ-სართულიან სახლის პირველ სართულიდან ისმოდა, რომლის ერთი ფანჯარაც შიგნიდან უდარაბოთ იყო დატოვებული და შუქი მოსჩანდა.

ყმაწვილურმა ცნობისმოყვარეობამ გაიტაცა და მოინდომა ფანჯარაში შეხედვა, რომ გაეგო, რა ამბავი იყო. მიმოავლო თვალი იქაურობას და რა დარწმუნდა, რომ არავინ უყურებდა, მეეზოვე შორს იყო და ფანჯარაც არ იყო ძალიან მაღლა,—მოსჭიდა ხელი საწვიმე მილს, აცოცდა ზემოდ, მეორე ხელი რკინის მოაჯირს მოჰკიდა და შეიხედა.

თუმცა შეორთქლილი იყო მინები, მაგრამ დამდნარ წინწკალთაგან დანასერებში შეიჭვრიტა და ნახა გაჩირაღდნებული ოთახი, მრავალი ხალხით: იცინოდნენ, მხიარულობდნენ, ცეკვავდნენ. ყმაწვილები ფერხულს უვლიდნენ შუაგულ ოთახში აღმართულ ნაძვის ხეს, რომელიც ათას-ფრად იყო აყვავებული სათამაშო დედოფალებით და სხვადასხვა ტკბილეულობით, ჰგლეჯდნენ სჭამდნენ, დარბოდნენ...

თუმცა არ იცოდა ვანომ, თუ რას ნიშნავდა ეს გაჩირაღდნებული ხე, მაგრამ იცოდა კი, რომ დღეს შობა იყო და—ალბათ ქალაქში ესე იციანო,—იფიქრა.

V

ისე გაიტაცა ვანო ამ სანახაობამ, რომ მთლად დაავიწყდა თავისი თავი. ამ სადღესასწაულო ღამემ ისე გააბრუა, რომ აღარც სიმშილი ახსოვდა და აღარც უბინაობა. გარედან შეჰხაროდა ბედნიერებს ვეღარა გრძნობდა სიცივეს, ხელების რკინებზე შეყინვას და ვერც მეეზოვის მოახლოვებას, რომელსაც შეემჩნია ფანჯარაზე ასული ვანო და წამოსულიყო მისკენ.

ვანო აღფრთოვანებული იყო ნანახით და ტკბილად დასწაფებოდა შობის ხის სილამაზეს.

სიტკბოება-სიმწარენი ერთად ეხვეოდნენ გარს.

— შე ძაღლის ლეკვო აქ რად აჩაჩხულხარ ჰა?!—შეჰღრიალა მეეზოვემ და კეტი მისცხო ზურგში.

— საქურდლად იჭყიტები მანდა? გინდა გზები ისწავლო განა?! ჰოი, შე საძაგელო! გუშინ ალბად შენ მომპარე ცოცხი და ქილობი—და უნდოდა კიდევ დაერტყა, მაგრამ ვანო უკვე ძირს ეგდო.

VI.

მოულოდნელმა თავ-დაცემამ და კეტის სიმწვავემ ვანოს მთლად შეურყია გონება, თავი ვეღარ შეიმაგრა და... ძირს დაეშვა ქვა ფენილზე. ერთი საზარლად შეჰკივლა და სამუდამოთ ჩაუწყდა ხმა.

ვანოს კივილი პოლიციელის ყურსაც მისწვდა და გამოექანა სანახავადა.

პოლიციელმა რა ნახა ყმაწვილი პირაღმა ეგდო და მეეზოვეც ზედ დაჰყურებდა გაშტერებული, იკითხა ამბავი.

მეეზოვე გასწორდა წელში და თუმცა სინიდისი ჰქენჯნიდა, რადგანაც უბედურების მიზეზი თითონ იყო, მაგრამ მაინც წარბ-შეუხრელად მოახსენა:

— ფანჯარაზე ასულიყო და ეტყობა ხელები თუ გაუსხლტა. შორიდან ვნახე, რომ ჩამოვარდა. ეტყობა სოფლელია.—სთქვა და დასწვდა ყმაწვილს, წამოაყენა. პოლიციელმაც დაუწყო შინჯვა. უნდოდა ხმა ამოეღებინებინა, მაგრამ კრიჭა შეჰკვროდა ვანოს. კეფა ქვაზე დაეკრა. სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა ჰრილობიდან და წითლად იღებებოდა თეთრი თოვლი.

VII.

მეეტლე გააღვიძეს. თუმცა ძალიან წინაღმდეგობდა, მაგრამ პოლიციელმა,— მიუხედავად მის წინააღმდეგობისა—ჩასვა ეტლში მომაკვდავი ვანო და გაისტუმრა საავადმყოფოში იმავე მეეზოვის თანახლებით. მაგრამ ვანოს იქამდის აღარ მიჰყოლია სული.

პოლიციელმა—რადგან სხვა მოწმე არავინ იყო—მეეზოვის სიტყვების თანახმად შეადგინა ოქმი და გაუდგა გზას.

მოლხინენი-კი კვლავ მღეროდნენ, ყმაწვილები კვლავ შეჰხაროდნენ შობის ხეს, და მუსიკაც კვლად უტკბობდა სიცოცხლის წუთებს ბედით-კმაყოფილებს...

**ს. ერთაწმინდელი.**

# ღარიბთა ჭერ ქვეშაც

I.

საღამოს ბინდმა სალამი უძღვნა დღის სინათლეს.

—მე გახლავარ თქვენს მოადგილეთ დანიშნული,—უთხრა სახის მანქვით და თან მოყოლილ სუსხს მიუბრუნდა, კარებამდის მიეცილებინა ყოფილი გამგე ქვეყნისა. სუსხმაც ბევრი აღარ აცადა, ცივად წაუსისინა ყურებში, ცხვირ-პირი წასწვა და თვალთაგან ცხელ-ცხელი ცრემლი გადმოადინა. დღის უკანასკნელი ნასახიც გაჰქრა, შეშინებული ვეებერთელა შენობებს ამოეფარა, მთების იქით გადაიხვეწა, თუ სადღაც, თითქოს დედა მიწამ ჩაჰყლაპაო, უეცრად შთაინთქა.

ძლიერათ წამოუნიავა ქარ-ბუქმა, მუშტის ტოლა გუნდები შეაგორა, აისროლა მაღლა და კორიანტელით ისევ ქვევით ჩამოაქანა, გზაში მიმომსვლელთ გაეხუმრა, ბეჭებზე თამაშით გადააყარა.

თითქოს სიკვდილ-სიცოცხლე შეებრძოლენ ერთმანეთს,—ისეთი წუთი დადგა!.. ქუჩებში ყველაფერი აირია, მგზავრები გარბიან, მაღაზიების კარები სისწრაფით იღებ-იხურება, ელექტრონის ფარნები ირყევიან, უკრთით შუქი, ჩაქრობას ჰლამობენ, უბრალო ნავთის სანათურები ხომ საცოდავად იბჟუტებიან, დასტირიან თავის გაჩენას.

ერთ ქუჩის შესახვევში ჭრიალით გაიღო პატარა ჭიშ-კარი, ვიღაც გამოვიდა ეზოდან, შედგა, არ იცის, საით წავიდეს. როგორღაც გაყრუებულს, გაშეშებულს არ ესმის არც სიცივე, არც ქარის ზუზუნი. გაშტერებული სადღაც იყურება, რაღასაც მისჩერებია უგონოთ, უაზროთ, დაიძრა, ნელა მიდის. თოვამ უკლო, ის გავიდა დიდ ქუჩაზე. სასახლის ქუჩა, აქ ისევ სდუღს ცხოვრება, მაღაზიები ხალხითაა სავსე, ქუჩაში გავლა უძნელდება ადიმიანს კაცთა სიმრავლისაგან. გახშირებული ზარების წკარუნი მოწმობს რაღაც დღესასწაულის მოახლოვებას. ხვალ **შობაა**, ქრისტეს შობა.

ახალგაზრდა მხოლოდ ეხლა გამოერკვა, ამ ძვირფას შუშებ შორის შეამჩნია თავის საცოდავი ნაცრის ფერი გაცვეთილ-გახუნებული სტუდენტის „პიჯაკი“, დამდნარი შარვალი; ჩექმებს დიდი ხანია სიცილი ასტეხია და ეხლა აქედან თეთრად იყურება წინდა... ქუდი? რაღა საკითხავია, აეტუზა ქუჩის თავში, კედელს აეკრა,— საით წავიდე, საით წავიდე? არავინ შემხვდეს ნაცნობთაგანი, არავინ დამინახოს ასეთს ყოფაში.—ჰფიქრობს სტუდენტი... ჯიბეებში ხელებჩაწყობილი რაღაც ქალალდს უაზროდ სრესს, წელში იგრიხება, გულ-მკერდი უტოკავს ყოველ ქარის შემობერვაზედ, თავს ძალას ატანს, კბილებს არ ახმაურებს.

ქუჩებში მიცარიელდა, აქა-იქ მაღაზიის კარებიც მიიხურა, ზარების ხმაც მისწყდა. სტუდენტი ისევ იქა სდგას, ქუჩის ბოლოს კედელზე მიყრდნობილი.

—შემეწიეთ უბინაოს, გამიკითხეთ...

სტუდენტმა მიიხედა, დაფხრეწილის ფარაჯით, ჯოხით ხელში, ქუდ-მოხდილი, გლახა შეჰყურებს, მის მგრძნობიერ თვალებში რაღაც იმედის სხივი კიდევ ჰბრწყინავს.

სტუდენტს გაეცინა გულიანად, გლახას ეწყინა ეს სიცილი.

— რას დამცინი, ახალგაზრდავ?

— შენ არა, ძმაო: ჩემს თავს დავცინი. აი, მეც აქ ვდგევარ და ვფიქრობ, სად წავიდე, სად გავითენო, რომ არ გამყინოს მძაფრმა ყინვამ და ერთხელ კიდევ ვიხილო ხვალინდელი დღე, რაც ისე მიყვარდა ჩემს ბავშვობაში.

გლახამ შეხედა თვალებში.

—და არ გაქვს ბინა, თავშესაფარი?

—უკანასკნელად მომიხურა კარი დიასახლისმა და ჩემი ლოგინიც-კი დაიტოვა კუთვნილ ქირაში.

—და შენ-კი გინდა ხვალინდელი დღე?

—ძალიან მინდა.

—მაშ მომყე, მე გაშოვნინებ ღამეგასათევს. გადადგა გლახამ ნაბიჯი, სტუდენტს ერთი წამიც არ უფიქრია, უყოყმანოდ გაჰყვა უკან. ეხლა კი ესმოდა თავის კბილების რაწკა რუწკი.

—გცივა, მეგობარო? — მოუბრუნდა გლახა.

—ცოტათ.

—დაიცა, ჩემო კარგო.—ცოდვილით გაიხადა ფარაჯა და მიაწოდა.

—როგორ იქნება? შენ თვალად შეგცივა.

—მე არა მიშავს, ბამბიანი ჯუბა მაცვია, შემიძლია ცის ქვეშაც გავათენო... მობილია.

—კარგი, მაგრამ...

—„მაგრამ მაგრამ“ ჩაიცვი. ხალხს შენც გლახა ეგონები და კარგია, იჭვით არავინ შემოგხედავს.

სტუდენტმა გაუყარა ხელი ფარაჯაში, მაგრად შემოიხვია ტანზე, ქუდი უფრო ჩამოიფხატა და დაედევნა უკან წინამძღოლს.

—„ეს გლახა სადღაც მინახავს. როგო-

ცებზე“ ლაპარაკობს. „ინოროდცებმა“ ჩვენ ნდობა გამოგვიცხადეს და ეს ამტკიცებს, რომ ნაციონალურ კითხვაში ჩვენ სწორი პოზიცია გვიჭირავსო და სხ.

ნ—ძეს ჩემზედ უკეთ მოეხსენება შემდეგი გარემოება: როცა „ინოროდცებზე“ ლაპარაკი, ყოველთვის და ყველგან მხედველობაში ჰყავთ ხალხის უმრავლესობა და არა უმცირესი ნაწილი.

ნ—ძის „ინოროდცები“ კი ვინ არიან? სომხის ხალხის უმრავლესობა, ან სომხის დემოკრატია? არა, ეს „ინოროდცები“ გახლავან სოლოლაკის მსხვილი ბურჟუაზია!

სოლოლაკის მსხვილ ბურჟუაზიას მოსწონს ნ—ძის პოზიცია ეროვნულ კითხვაში.

აქედგან რა დასკვნა გამოდის? ის რომ ჩვენი პოზიცია სწორიაო, ამბობს ნ—ძე. ჩემის ფიქრით კი აქედან მხოლოდ ერთადერთი დასკვნაა: ნ—ძის ეროვნული პოზიცია არა თუ სწორი არ არის, ქართველი ხალხისათვის დამღუპველია.

ნ—ძის ეროვნული პოზიციის მოწონება სოლოლაკის ბურჟუაზიისაგან ცირას ნანინას ძალიან წააგავს „თამარ ცბიერში“. დამისახელოს ერთად—ერთი მაგალითი ნ—ძემ, როდესაც სოლოლაკის ბურჟუაზიამ მოიწონა ის, რაც ქართველი ხალხისათვის სასარგებლო იყო. ამისთანა მაგალითი არ ყოფილა და არც იქნება.

ქართველი და სომხის დემოკრატია ორივე ერთ ტაფაში იწვის. ბედმა ორივეს შავი ხვედრი არგუნა და სოლიდარობა, თანხმობა, ერთად მოქმედება, ძმობა აუცილებელია მათის კეთილ-დღეობისათვის. ერთმანერთ შორის მტრობა და სიძულვილი, არც ქართველ ხალხს დააყრის კეთილს, არც სომხისას.

ვინ ეღობება წინ ამ სოლიდარობას და ერთობას?

ქართველების მხრით თავად-აზნაურობის იდეოლოგები; სომხების მხრით მსხვილი ბურჟუაზია. ორივე ერის დემოკრატიის ინტერესთა დამცველებმა ერთსაც უნდა აჰხადონ ფარდა, მეორესაც, რათა დაანახონ ხალხს მათი ნამდვილი სულისკვეთება.

ნ—ემ კი სოლოლაკის მდიდრები „ინოროდცებად“ მონათლა და თავი მოსწონს: ჩვენი ეროვნული პოზიცია სწორია, რადგანაც ესენი ზურგს გვიმაგრებენო.

ნ—ძეს ჩემზედ უკეთ მოეხსენება სოლოლაკელების სისტემა და სულისკვეთება და ამიტომ ცხადი უნდა იყოს მისთვის ისიც, რომ სოლოლაკის ბურჟუაზიასთან შეკავშირება ღალატია ქართველი დემოკრატიისა, ერთი კი არა თუნდა ათი დეპუტატიც რომ წამოასკუპოს სათათბიროში ამ შეკავშირებამ.

**ივ. გომართელი.**

# ახალი ამბები

ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობა იწვევს სცენის მოყვარე ინტელიგენტ ქალებს და ვაჟებს, ვისაც სურვილი აქვსთ სცენაზე მოღვაწეობისა, მიიღონ მონაწილეობა წარმოდგენის მართვის საქმეში. ჩაწერა შეიძლება წრის კონტორაში რეჟისორ ალ. წუწუნავასთან (მიხეილის პროსპექტი, № 102), ყოველდღე საღამოს 6 საათიდან.

——

მოსკოვის გაზ. „რუსკია ვედომოსტის“ ამ წლის 13 დეკემბრის ნომერში (287) დასტამბულია ჩვენი ახალგაზრდა ბელეტრისტის სფირიდონ მცირიშვილის (გერის) მოთხრობა „ჰონორარი“. ეს მოთხრობა თვით ავტორს უთარგმნია რუსულად. ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, რომ მოთხრობა „ჰონორარი“ პირველად დაბეჭდილი იყო გაზეთ „თემის“ № 68-ში 23 აპრილს 1912 წელს.

——

როგორც შევიტყეთ ცნობილი ლექტორი ნიკ. ალ. დუბროვსკი ქართულ თეატრში წაიკითხავს **ნაციონალურ საკითხის** შესახებ რამდენსამე ლექციას.

——

22 დეკემბრის წარმოდგენა ქართულ თეატრში დაუვიწყარი იქნება ჩვენი ეროვნულ თეატრის ისტორიაში. საერთო აღტაცება გამოიწვია იოსებ გედევანიშვილის ახალმა პიესამ „სინათლემ“ და ამ პიესის დადგმამ. თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. დაწვრილებით შემდეგ.

——

ჩვენმა რედაქციამ მიიღო მწერალ-ქალის ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ნაწერების მეორე ტომი: 1) ბედის ტრიალი (რომანი), 2) ლაზარემ გადააქარბა (მოთხრობა) და მისივე მოთხრობა „კლიმისია“, ცალკე წიგნაკად გამოცემული.

——

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, 26 იანვარს გადახდილ იქნება ცნობილ მსახიობის და მოღვაწის კოტე ყიფიანის 45 წლის დღესასწაული. ივ. გომართელმა უკვე დასწერა მისი ბიოგრაფია.

——

**შემდეგი ნომერი „თემისა“ გამოვა 1 იანვარს სამხატვრო დამატებით.**

——

**„თემის“ მეორე პრემია—კ. მაყაშვილის ნაწერების კრებული—ამ მოკლე ხანში დაურიგდება ხელის მომწერლებს.**

——

ჩვენს ცნობილ ბელეტრისტს ია ეკალაძეს განუზრახავს თავის ნაწერების მეორე ტომის გამოცემა. პატივცემული მწერალი ჰმართავს წინასწარ ხელისმოწერას.



## ვლ. მესხიშვილი და მისი მოწაფე ი. ზარდალიშვილი

(ი. ზარდალიშვილის ბენეფისის გამო.)

მსახიობი იუზა ზარდალიშვილი დაიბადა 1885 წ. ქ. ქუთაისში. მამა მისი იყო მასწავლებელი ქუთაისის ქართველ-კათოლიკეთა სკოლაში. იუზა 7 წლისა იყო, როდესაც პირველად მამამ მისცა სასწავლებელში. სკოლაში იუზამ სამი წელიწადი დაჰყო, რადგანაც მამა მოუკვდა და უსახსრობის გამო დედამ სწავლას თავი დაანებებინა. შემდეგ დედა იუზასი მალე გათხოვდა და ბავშვი დარჩა სრულიად მარტოდ. იუზა მიემგზავრება ბათომს და უნდა რამე საქმეს მოჰკიდოს ხელი. ამ დროს ბათომში გარდაიცვალა როტშილდის დირექტორი კათოლიკე ზარდლოვსკი, რომლის ქვრივსაც ორი მილიონი შეძლება დარჩა. კათოლიკეთა პატრის შემწეობით იუზას მფარველობას უწევდა ზარდლოვსკის ქვრივი, ვინაიდან ქვრივი უშვილო იყო. ქვრივმა შეიფარა ბავშვი თავის სახლში და მთელი ერთი წელიწადი მის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. შემდეგ ქვრივი გადასახლდა ბათომიდან პარიზში და თან მოისურვა ბავშვის წაყვანაც, მაგრამ არც დედამ დაანება და არც ბავშვის გულმა ისურვა უცხოეთი; უარი განაცხადა. ქვრივმა არ დასტოვა იუზა უყურადღებოდ და საზღვაო სკოლაში მიაბარა თავის ხარჯით.

საზღვაო სკოლაში იუზამ ერთი წელიწადი დაჰყო, რადგან პარიზში ქვრივი გარდაიცვალა და როტშილდის კონტორამაც სტიპენდია მოუსპო. ამის შემდეგ იუზა ოდესას გაემგზავრა. იქ ის გემზედ მიიღეს მეზღვაურად და ჯამაგირიც დაუნიშნეს. გემზედ ორი წელიწადი დაჰყო, რადგან ავადმყოფობის გამო იძულებული იყო გემზე სამსახურისათვის თავი დაენებებინა!

იუზა უკვე 14 წლისა იყო, როდესაც ხელახლად ბათომში დაბრუნდა. აქ იუზამ პირველად ნახა ქართული წარმოდგენა ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, რომელიც კინის როლს ასრულებდა. იუზა იმ დროს მეზღვაურის ტანთსაცმელში იყო. მას სთხოვეს, მესამე მოქმედებაში ისიც გამოსულიყო მასსიურ სცენებში, ვინაიდან სცენაზედ მეზღვაურნი უნდა ყოფილიყვნენ. იუზაც დასთახმდა და იმ ღამეს პირველად გამოვიდა სცენაზე. ამის შემდეგ დასი ქუთაისს გაემგზავრა, იუზაც გაჰყვა და დაუახლოვდა მსახიობებს.

ქუთაისში ვლ. მესხიშვილმა იუზას პატარა როლიც მისცა, შილლერის „ყაჩაღებ“-ში, სადაც იუზამ პირნათლად შეასრულა პატარა შუეტერლეს როლი. აქ იუზამ გაიცნო მესხიშვილის ოჯახობა, რომელსაც ძლიერ დაუახლოვდა. მესხიშვილის ბავშვებსაც ძლიერ შეუყვარდათ იუზა და ბავშვებთან ერთად იუზაც ერთობოდა.

მესხიშვილმაც შეატყო ბავშვს უტყუარი ნიჭი და მოჰკიდა ხელი და იწყო მასთან მეცადინეობა! იუზა სამი წელიწადი მეცადინეობდა მესხიშვილთან და ნიჭიერ მასწავლებლის ხელმძღვანელობით თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ქართულ სცენაზე. მსახიობი ოთხი წელიწადია, რაც თბილისის სცენაზედ მოღვაწეობს და ჩვენი საზოგადობა კარგად იცნობს მას. 27 დეკემბერს ქართულ თეატრში მისი ბენეფისია. მსახიობი პირველად გამოდის ჰამლეტის როლში. აქამდე ჰამლეტის როლის ამსრულებელი ქართულ თეატრს მესხიშვილის მეტი არავინ ჰყოლია და დღეს კი მოწაფე ნიჭიერ მასწავლებლის ხელმძღვანელობით პირველად გამოდის ჰამლეტის როლში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოწაფე და მასწავლებელი პირნათლად შეასრულებენ საზოგადოების წინაშე თავიანთ მოვალეობას.

## მეთვალყურის დღიურიდან.

**გონებრივი სითამამე.**

ცის ქვეშ ბევრი საკვირველებაა შესაძლებელი...

ამერიკელნი თუ სხვადასხვა გამოგონებით აოცებენ ქვეყნიერებას, ევროპიელნი მარად ახალის ძიებით, პირადობის სრულყოფისათვის მედგარი ბრძოლით, რათა ყოველს ადამიანს კუთვნილი უფლება მოაპოვებინონ კაცთა შორის, ჩვენ —ქართველნი—მარად ნგრევის, მოპირდაპირე აზრთა შეუწყნარებლობის, შეუგნებელი უარყოფისა და კაციჭამიობისადმი ლტოლვილებით ვცდილობთ ვისახელოთ თავი...

ჩვენ ჯერ კიდევ დაბლა ვლოლავთ, ქაოსში ვჭყლოპინობთ და, თუ ვინმე გაბედულთაგანი, სვე-ბედნიერი გაკადნიერდება, რომ მზეს თვალები გაუსწოროს, ჭეშმარიტებას თვალი თვალში გაუყაროს, ერთპირად შევყვირებთ: „ძირსო“!..

მაგალითი რამდენიც გნებავთ...

ასე იყო ჩვენის ქვეყნის შორეულ წარსულში, ასე ხდებოდა ხალხის გამოფხიზლების ხანაში, ასე ხდება დღეს, დღეს, როდესაც საჭიროა ყოველი ღირებულების მიუდგომელი შეფასება, ფხიზელი ანგარიშიანობა...

ყველა დაწინაურებულ, ცოტად თუ ბევრად გათვითცნობიერებულ, ხალხში შეიძლება აზროვნული საქმიანობა, პიროვნებისადმი ღრმა პატივისცემა, ჩვენში კი... არა...

აღმოსავლეთის მბრძანებელ-მტარვალთაგან არა ერთ გზის დადგმული მონობის უღელი ეგოდენად მძიმე იყო, რომ დღესაც ვერ აღვიმართავს ქედი: ზოგიერთს შემთხვევაში თუ სრულიად წარბშეუხრელად ვმონებთ ჩვენს მბრძანებელს, თითქოს შემოქმედს მხოლოდ მონებად შევექმნეთ, მეორეს მხრით, თუ-კი შემთხვევა მოგვეცა, თვითონ ვიჩენთ განუსაზღვრელ აზროვნულ მტარვალობას და, თუ ვისმეს შევამჩნიეთ, რომ ერთფეროვნულ ცხოვრების მიმდინარეობას თავს აღწევს, დღეს ვუმწარებთ...

გადაავლეთ თვალი ჩვენებურ ეგრედწოდებულ პრესის სულთქმასა და თვალნათლივ დარწმუნდებით ჩვენის სიტყვების სიმართლეში...

საკმარისია მოწინააღმდეგე ბანაკს ეკუთვნოდეთ, ან ისე არ აზროვნებდეთ, როგორც თქვენი მოპირდაპირე, ანუ ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებულთა დირექტივებში რაიმე ეჭვი შეიტანოთ, რომ სასტიკი დევნა დაგიწყონ... არიან ჩვენში ხალხის ისეთი მესვეურნი ანუ დროგამოშვებითი გამოცემათა ხელმძღვანელნი, რომელთაც თავი რომის უმწიკვლო პაპად წარმოუდგენიათ, თავის მიმდევრებს მოდის სიტყვებს უქადაგებენ; მოითხოვენ სიტყვის, რწმენის, წერის თავისუფლებას, მოქალაქეობრივ თანასწორობას, ყველგან და ყველაფერში შიშველ სიმართლეს, მეტს სინათლეს, მაგრამ ამავე დროს, თუ ვინმემ გაჰბედა სამართლიანი, დამოუკიდებელი სიტყვის თქმა და მოქმედება არა ბოროტმოქმედებით ანუ სამტროდ, არამედ თავისის საკუთარის რწმენის გამო, შინაგანის შემეცნებით ხალხის სასიკეთოდ, მორჩა,—იგი კრულვილი შეიქნება!.. ვისიმე დასახელება რა საჭიროა. განა სახელები თვით არ გვადგება ენაზე?!

ასეთია ჩვენის დროის ზოგიერთების აზროვნული მართლმსჯელობა, გონებრივი სითამამე... ეს კიდევ არაფერი!.. ამათი გამბედაობა ზოგჯერ იქამდე მიდის, რომ უმანკოების ჩადრში ეხვევიან, სხვას უკიჟინებენ გათახსირებას, თვითონ კი ვერ ამჩნევენ, რომ თვითვე განუდგნენ სიმართლესა და ჭეშმარიტებას, ხალხის გულითადი მისწრაფება-მოთხოვნილებათა ალღო ვერ აართვეს.

მაგრამ მადლობა შემოქმედს, თვით ხალხი უკვე გათვითცნობიერების გზაზე შესდგა, მალე თავის პირუთვნელ მსჯავრს გამოგვიტანს და ანგარიშს მოგვთხოვს ყველა ჩვენგანს, მესვეურსა თუ უბრალო მოკვდავს.

მხოლოდ იგი განამტკიცებს რწმენისა, შეხედულებისა და აზროვნების სრულს თავისუფლებას...

ეს დროც არც ისე შორსაა...

**ექიმი შტოკმანი.**

---

რი ნაღვლიანი და გონიერი თვალები აქვს, რა გიშრის კულულები აყრია, ბეჭებზედ ეფინება. როგორ ამშვენებს შავი წვერ-ულვაში... სადღაც მინახავს, რაღასაც ვიგონებ, არ ვიცი-კი სად ან რას... არ ვიცი.“—თან მისდევს.

გლახა შედგა აფთიაქთან, შეაღო კარი.

სტუდენტი განზე მიდგა, პირს არიდებს მეაფთიაქეს,—რამდენჯერ ყოფილა აქ, რამდენჯერ რა უყიდნია.

—რამდენი დაახურდავეთ დღეს მაგათთვის? შეეკითხა მეაფთიაქე კასაში მჯდომ ქალს,

—სამი აბაზი.

—დარჩა კიდევ რამე?

—აბაზი კიდევ არის.

—მიეცით კუთვნილი.

და გლახამ მიიღო შაურიანი, მადლობა უძღვნა და გამოვიდა.

—გაიგონე? მადლიან კაცს რვა ჩვენისთანა გაუკითხავს დღეს, თუ ყველას ამდენი დაურიგა. ხომ არ გადავჰკრათ ამ შაურით?

—არა, მე არა ვსვამ, ძალიან კი მშიან.

—ძალიან კარგი... მომწონს როცა ტაკი არ სვამს... მაშ პური ვიყიდოთ.

„ფურნეც“ შეხვდათ, შაურის პური მიაჰრევინეს. მეპურეს ეძინება, ფული არ აიღო.

—წაიღეთ... ხვალ დალიეთ...

—აგაშენოს ღმერთმა... ძმობილო! ღამეს ვერ გაგვათევინებ უბინაოებს?

—ვერა, ძმაო, ოთახი პატარა მაქვს, ბიჭები ბევრი არიან, ფურნის თავზეც არ შეიძლება, „უპრავა“ არ უშვებს აქ დაძინებას.

—გმადლობთ, კარგად იყავი,—გამოვიდნენ.

—ერთი ეს გვიზიანი კაციც ნავხოთ რა გულის არის... შეაღეს მაღაზიის კარი. ტანსაცმელებით მოვაჭრეს ცხვირი ინგლისურივით ჩამოუშვია, თავი დახლზე ჩამოუხრია, ლამის ჩამოეძინოს, დუქანს მაინც არ ჰკეტავს, იქნებ კიდევ მოვიდეს დაგვიანებული „მუშტარი“. პატარა, გაყვითლებულ ბიჭს გაუშტერებია თვალი და შეჰყურებს პატრონს, თვალებით ემუდარება: „გაიხსენე ღმერთი, წადი შენს ცოლ-შვილში, მეც გამიშვი სახლში, საწყალი დედა გულის ლევით მიმელოდება“... ვაჭარს არ ესმის ეს მუდარა, ფიქრებში ანგარიშობს, სხვა და სხვა გზებს უძებნის თავის განდიდებას.

გლახები დგანან, ვაჭარმა ერთი დაუბღვირა, კაპიკიანი გადმოუგდო და თან პატარა ბიჭს დასჭყივლა.

—რას დაგიღია პირი, კარებს ვერ ჩაჰკეტ, ყველა ოხერი აქ რო არ შემოეხიდოს?

გლახებმა გაიხურეს კარი და გაუდგნენ გზას.

—ეს იცი ვინ არის?—ჰკითხა გლახამ.

—არა.

—ეს ის არის, ხვალ რომ სიონში, ან ანჩისხატში, მთელ წირვას მუხლებზე დაჩოქილი მოისმენს და ორი აბაზის სანთელს აანთებს... აქაც ჩავიდეთ. ჩაიყვანა ერთ დიდ ეზოში, სახლები ბევრი და დიდი შენობებია. პირველ სართულში ავიდნენ. აივანია, დიასახლისს ფარდები დაუხურავი დარჩენია, სასადილო ოთახში მაგიდას შემოსხდომია წვრილი მოხელის ოჯახი. დედა შობის ხეს უწყობს შვილებს. მხიარულობენ. მამა გაზეთს ათვალიერებს, ბებერი დიდედა ჩაის ამზადებს.

—მოგვეცით ბინა, გაგვიკითხეთ.—შეაღო კარი გლახამ.

დიასახლისი შეკრთა. შეჰკივლა, ბავშვები ფეხზე წამოცვივდნენ, თითქოს მგელი შევარდნოდეთ. სახლის პატრონი გონს მოეგო, მაგრად დაარტყა იატაკს ფეხი.

— წადით აქედან, თქვე მაწანწალებო.

—რა უნდათ, სტეფანე.—იკითხა ცოლმა.

—სტუმრად გვეწვივნენ ამელამ.

—უი ქაა...

—წადით, წადით... დაუტატანეს.

—გაიხედე, სტეფანე, აივნიდან არაფერი აკრიფონ მაგ ლოთებმა... მაწანწალებმა.

შემოესმათ კიბეზედ მიმავალთ.

გლახას მწარედ გაეცინა; სტუდენტმა კბილები დაალრჭიალა სიბრაზით.

მეორე მაღალ კიბესთან შედგა, სახლიდან გამონაშუქ სინათლეს ეზოც გაეჩალებია.

—ეტყობა იქ ძალიან უნდა თბილოდეს იმ ბატონებთან,. რას იტყვი?—წასჩურჩულა ახალ შეძენილ მეგობარს.

—უთუოდ.

—თავადი, ღენერალი ცხოვრობს მაქ. მოდი მაქაც ვითხოვოთ ბინა, აბა როგორი სტუმართმოყვარეობა შერჩენია ძველ ქართველს.

ხელის ფათურით ავიდნენ კიბეებზე, აქაც სასადილო კარებს მიადგნენ... აქ კი... დიდი ზეიმი გაუმართავს პატარა თავადებს თავის ტოლ ქალებთან.

ვეებერთელა შობის ხე იალბუზის მთასავით წამოჰქიმულა, თავი შაქრის თავს მიუგავს. ბრჭყვიალა ვარსკვლავი გაბადრულა მის თავზე და იქაურობას ვერცხლის სხივებს აბნევს, ათასნაირ სამკაულით მორთულ მოკაზმულ თავს დასტრიალებს ახალგაზრდობა, „ხომ არაფელი დავაკელითო!“. აქაც დიდ მაგიდას შემოსხდომიან, სტუმრებიცა ჰყავთ, ვახშამს მიირთმევენ, შემწვრების სუნი გარეთ იჭრება, თეთრ ახალუხა მსახური კარებთან გამოჰქიმულა და ბრძანებას ელის.

გლახებმა დაურაკუნეს. ყველამ კარებს მიაპყრეს თვალი. გლახა გაბედულად წარსდგა დიდებულთა წინაშე.

— მოგვეცით ბინა, გაგვიკითხეთ, გარეთ ისე ჰყინავს, ქარი როგორ გაჰკივის...

კნეინას სახე აელანძა, მრისხანეთ შეჰხედა მსახურს.

—გლახაკთა თავშესაფარებელი აღარ არის ქალაქში?—იკითხა ღენერალმა.

—ყველგან სავსეა, არ არის ბინა. გაჭირვებულთ ვეღარ იტევს საერთო სახლები, ბატონო ჩემო. თავადმა სძლია თავს, მოიშველა თავის სიდარბაისლე, მსახურს მიუბრუნდა.

—წაიყვანე სამზარეულოში.

—სადა? მერე იქ უნდა... იქ...—წამოანჩხლდა დიასახლისი.

—გმადლობთ, ნუ, ნუ სწუხდებით, ვიშოვით ბინას. ვაი თუ თქვენც არ გაგიკითხონ განსაცდელის ჟამს... მწუხარედ გადაავლო თვალი იქ მყოფთ, დაფკრა თავი და გაბრუნდა.

იქ მჯდომთ ერთმანეთს გადახედეს.

„ეს ხმა, ეს კილო, ესეთი ღმობიერი გამოთქმა და მთხოვარა გლახა?“

სიტყვა ვეღარ მოასწრეს, გლახებმა მსწრაფად ჩაირბინეს კიბე!

—მაშ გარედ მოგველის გათენება?—იკითხა სტუდენტმა.

მოითმინე, კიდევ არიან კეთილი ხალხი ქვეყანაზე.

ერთ პატარა ეზოშიც შევიდნენ, ბნელა აქა-იქ, საცოდავად მობჟუტავს პაწაწინა ლამპრები ოთახებიდან. ყველგან მიუგდეს ყური, ყველა დაათვალიერეს, საშინელი სივიწროვე აქვთ, თითო ოთახში ათ-ათი მცხოვრები...

—ნუ თუ ამათ ვთხოვოთ ბინა, შევაწუხოთ ისედაც შეწუხებულნი?

ალაყაფის კარებთან. პატარა ოთახია, ფანჯრიანი კარები აქვს, ფარდა დაბალზეა გაბმული, გადაიხედეს; გაციებულ ბუხარს ორი პატარა ბავშვი მისჯდომია, სცივათ, ერთი მეორეს ეკვრის. ტახტის ერთ თავში ავადმყოფ დედას ჩასძინებია. პაწაწინა ოთახში მეტ სიფაქიზეს მოუკალათნია. ნელა დაურაკუნა გლახამ, ბავშვები კარებს მისცვივდნენ, დას მოელიან, ოჯახის იმედს და მარჩენალს; საკერავიდან ჯერ არ დაბრუნებულა, ამათ დანახვაზე შეკრთნენ, უკან დაიწიეს.

—მოგვეცით ბინა გაჭირვებულთ, გაგვათბეთ, გაგვიკითხეთ.

ბავშვები მიხვდნენ ვინც არიან. დამშვიდება დაეტყოთ.

—ანო ლო სახლსი ალ ალის.—გამოეხმაურათ პატარა ბიჭი. უფროსი გოგო დედას მივვარდა გასაღვიძებლად.

—ვინა ხართ?—დაიძახა შემკრთალის ხმით ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ეხლა ამოვიდა ეზოში და შეეხება გლახებს.

—ადმიანები ვართ, ქალბატონო. ვიყინებით, გაგვიკითხეთ, მოგვეცით ბინა.

—ლოგინი რომ არა მაქვს, ერთში ავადმყოფ დედას სძინავს, მეორეში ბავშვებს.

მიუგო ქალმა, ხმაში შეწუხება და თანაგრძნობა დაეტყო.

—არ გვინდა, ქალბატონო, კუთხეში დავსხდებით, ჩუმად, უნძრევლად, ოღონდ გარეთ არ გავიყინოთ. ამ ახალგაზრდას ძლიერ უნდა ხვალინდელი დღის ერთხელაც ხილვა.

—მობრძანდით!..—და ქალმა გულმხიარულად შეაღო ოთახის კარი.

—დედილო! სტუმრები ეწვიენ ჩვენს ღარიბ ქოხს, ჩვენც, რაც გვქონდეს, ისე მივიღოთ... როგორ ჩაგქრობიათ ცეცხლი, ნუცა! გიგო! აი თქვე მშიშარებო შეშა ვერ გასჭერით? დედას ჩასძინებია... შუბლზე ხელი დაადო.

—ოფლი მოსვლია. მადლობა ღმერთს, მოიკეთებს.

—დაბრძანდით. . მიიწვია სტუმრები.. თავშალი მოიხადა. კურტკაც მოიშორა, ტახტ ქვევიდამ შეშის კუნძი გამოსწია, ცულიც აიღო...

—ამ წუთას ცეცხლს ავანთებ და ეს დაღვრემილი ოთახიც გამხიარულდება, ჩემო სტუმრებო.

—მე გიშველით. მე დავაპობ,—წაეტანა სტუდენტი, ძალად წაართვა ცული ხელიდან. ქალმა მადლიერის თვალებით შეხედა თვალებში, ორივემ ძირს დახარეს თვალები, იატაკს გაუშტერეს. სიჩუმე ჩამოვარდა. ორი პატარა საათის ტაკიტუკი მხოლოდ დარბაისელ გლახას ესმოდა. მანვე დაარღვია სიჩუმე.

—დასჭერით შეშა და მოიტანეთ, ჩემო კარგებო, გავთბე ერთი...

II.

ცოტა ხნის შემდეგ ღარიბთა ქერქვეშაც ამოძრავდა სიცოცხლე; ბუხარი მხიარულად გუგუნებს, მოკეთებული დედა ტახტზე წამომჯდარა, ბავშვებს ლოყები დასწითლებიათ. ახალგაზრდა ქალი დაცქრიალობს, სახვალიო სადილს ამზადებს, დედალს ხარშავს, ნაზუქებს აცხობს, სტუმრებს ჩაით უმასპინძლდება.

სტუდენტი წელში გაიმართა, თმა მაღლა გადაიქოჩრა, მოიშინაურა, თითქოს თავის ახლობელთა ოჯახშია, დავიწყებია წარსული სიმწარე და მომავალი ტანჯვა, „აღარ ზრუნავს ხვალისათვის“. ის სცხოვრობს მხოლოდ დღევანდელი დღით, აი, ამ წუთებით; შეჰყურებს გულუხვ ცხოვრებით სავსე არსებას, უყურებს მის თლილ თითებს, რომლებიც ასე სწრაფად მოძრაობენ, მოწყვეტილ წერწეტა ტანს, რომელიც ასე მოხდენილად დასრიალობს ოთახში. მთელი დღის ნამუშევარს მოღლილობა არ ეტყობა, ხარობს, სხვის ცხოვრებასაც ახარებს, შუქსა ჰფენს თავის გულით ხასიათით.

აი სად არის სიცოცხლე, აი სად არის მისი მნიშვნელობა; ეს ხომ ღმერთია, ქალ-ღმერთი!.. გლახასაც გაუხდია თავის ჯუბა, თეთრის პერანგით დამჯდარა, მუხლებზე ყმაწვილები დაუსხამს. ფერმკრთალ სახეს გიშრის ჩარჩოთ შემოვლებია შავი **უწყვი** თმა, მაღალ ნათელ შუბლს რაღაცა შუქი უსხივოსნებს, მისი გონიერი თვალები სიყვარულის ნათელს ჰფენს იქაურობას. ის ლაპარაკობს, ლაპარაკობს გატაცებით, ხვალინდელ დღეზე, მის მნიშვნელობაზე, [illegible] და სიყვარულზე... მხოლოდ სიყვარულზე ამყარებს მთელს ცხოვრების აზრს. ყველა უსმენს, გაფაციცებით თვალს ადევნებენ, თითოეულ სიტყვას უნდათ ჩაავლონ ხელი, აღიბეჭდონ გონებაში.

გლახა დაჩუმდა, თავისი სმენა რაღაც მისთვის იდუმალ ხმას მიაპყრო.

—მე თქვენ გიშოვით სამუშაოს. —უეცრად წამოიძახა ქალმა. სადაც მე ვკერავ, ბავშვები ჰყავთ, მასწავლებელს ეძებენ.

სტუდენტმა მადლობით დაუკოცნა ხელები.

—ჯერ გაგვითენდეს ხვალინდელი დღე, ჩემო ქალბატონო... ხომ ასე, ჩვენო მასწავლებელო?..

—ასე, ასე... მიუგო გლახამ. წამოდგა.

—ახლა მშვიდობით.

—როგორ! მშვიდობითო? რა გაწყენინეთ?

—აღარ შეგაწუხებთ...

—რა შეწუხებაა, ამ დროს სად უნდა წახვიდეთ? ასე ჩქარა უნდა დავშორდეთ... მე კი მეგონა. აი ახლა... შენვე არ თქვი... უთხრა არეულათ ქალმა.

—მე შევასრულე ჩემი მოვალეობა, აწი თქვენ იცით. სხვა ადგილსაც მელოდებიან..

იქ მყოფთ ვეღარ მოასწრეს სიტყვის თქმა, გლახა აღარ იყო ოთახში, მისი ტანისსამოსი კი იქ ეყარა.

ოთახში მყოფნი ქვითინით ჩაეხკივნენ ერთმანეთს, დიდი და პატარა ნეტარების ცრემლს ღვრიდნენ.

—რათ ვერ ვიცან, რათ ვერ ვიცან მე უბადრუკმა —ქვითინებდა სტუდენტი, ახალგაზრდა ქალი-კი მზრუნველობით უშრობდა ცრემლს.

**მარიამ გარიყული.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული საეკლესიო მხატვრობა და რუსეთის ხუროთმოძღვართა კრება.

რუსეთის ხუროთმოძღვართა საერთო კრების სამხატვრო სექციის 18 დეკემბრის სხდომაზე ცნობილმა მხატვარმა ა. პ. ეისნერმა წაიკითხა მოხსენება „საქართველოს ტაძრების“ შესახებ. მომხსენებელი საჭიროდ სთვლის ქართულ ტაძრების შესწავლას, რომელნიც მრავლად არიან გაფანტულნი ჩვენს ქვეყანაში და წარმოადგენენ დიდ არქეოლოგიურ განძს, განსაკუთრებით მხატვრობის მხრით (ხატები და კედლებზე ნახატი).

მომხსენებლის მოწმობით კედლის ნახატები წვიმისა და ჩაერისაგან ფუჭდება-მრავალი ნაშთი ილუპება და იკარგება; ასე ჰქრება ქართულ ხელოვნების ნათელი ხანის შესახებ ხსოვნაო. მისის აზრით საჭიროა ფოტოგრაფიით გადაღებულ იქმნას ეს მხატვრობა, ყველაფერი აიწეროს და დაცული ნაშთები, თუ შესაძლებელია, შეიკრიბოს. მისის ფიქრით, ამისათვის საჭიროა ცალკე კომისია დაარსდეს ამ მუშაობის გასაჩაღებლად და აგრეთვე ხელი შეეწყოს კერძო თაოსნობას ძველი საქართველოს ნაშთების და ძეგლების დაცვისა და აღწერის საქმეში.

ამ მოხსენების წაკითხვის შემდეგ პეტერბურგის არქეოლოგიურ კომისიის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა პ. პოკრიშკინმა განაცხადა, რომ ეისნერისთანა გამოკვლევა კეთილ ნაყოფს ვერ გამოიღებსო: დილეტანტები და ტურისტები ხშირად ნაშთებს სწმენდენ და ასე აფუჭებენო. პოკრიშკინის აზრით, რადგანაც ეისნერს არა აქვს მიღებული სპეციალური განათლება, მას შეეძლო უფრო ვნება მოეტანა საქმისათვის, ვიდრე სარგებლობა.

ამ განცხადებამ დიდი ჟურ-ჟაური გამოიწვია სხდომაზე. თვით ეისნერმა განაცხადა, რომ მას გათავებული აქვს არქეოლოგიური ინსტიტუტი, რომ იგი ტურისტი არ არის, არამედ 24 წელიწადი მუშაობს საქართველოს ძველ ნაშთთა დაცვისათვის.

მრავალნი გამოესარჩლენ მხატვარ ეისნერს, რომელსაც ოვაცია გაუკეთეს. ბოლოს სექციამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: „სრულიად რუსეთის ხუროთმოძღვართა მეხუთე კრების მონაწილეთა ყრილობამ დაადგინა მიჰმართოს ნაშთთა დასაცავად არსებულ ორგანიზაციებს თხოვნით, რომ შეადგინონ განსაკუთრებული კომისია ამიერ კავკასიის სამხრეთ დასავლეთ ნაწილის ნაშთების ყოველმხრივ გამოსაკვლევად; მიჰმართოს აგრეთვე მთავრობას და საზოგადო დაწესებულებით თხოვნით—მიიღონ ზომები ამ ნაშთთა და ძეგლთა დასაცავად იმ სახით, რა სახითაც ახლა იმყოფებიან“.

ეს ყველა კარგი, მაგრამ სად იყვნენ ჩვენი ხუროთმოძღვრები და არქეოლოგები.

ნუ თუ თავის მხრით ვერავინ გაგზავნეს წარმომადგენლად ამ კრებაზე?

ჩვენი ეროვნულ ნაშთთა გამო სხვები ერთმანეთს ეჩხუბებიან, ჩვენ კი შორიდან ვუსმენთ და ყურსაც არ ვიბერტყთ, თითქო არც კი გვწამს, თუ რა განძის პატრონნიცა ვართ...

**არქეოლოგიის მოყვარული.**

## წერილი მოსკოვიდან
(ა. ცისკარიძის ლექციის გამო)

ვინც კი თვალ-ყურს ადევნებს რუსეთის პერიოდულ გამოცემებს, ლიტერატურას, ის უეჭველად ხშირად შენიშნავს კავკასიელთა ცხოვრების ფაქტების ტენდენციურ დამახინჯებას. ამ მწერლების აღწერით, კავკასიაში სცხოვრობს გაუნათლებელი, ნახევრად ველური ხალხი, რომელსაც სრულიად გულ-დამშვიდებით შეუძლიან გამოუღადროს უდანაშაულო ადამიანს ყელი ხანჯლით „პროგრესიული“ მოსკოვის გაზეთი „რუსკოე სლოვო“, როდესაც ასწერს ამა თუ იმ ბოროტმოქმედებას კავკასიელთა ცხოვრებიდან, შემდეგი სათაურით ნათლავს ხოლმე წერილს „Кавказскіе нравы“ ან და „Кавказскія шутки“, თითქოს ბოროტმოქმედება, ცარცვა-გლეჯა მარტო კავკასიაში ხდებოდეს. არ დაგვივიწყია არც „სანინის“ ავტორმა, და თავის უკანასკნელ პიესა „ეჭვიანობა“-ში კავკასიელი ტიპი თავ დარბეილიანი გამოიყვანა, რომელსაც ერთადერთი მიზანი აქვს თავისი ჟინი და ვნება დაიკმაყოფილოს. არ ვიცით, რად დასჭირდა ავტორს დარბეილიანის გამოყვანა პიესაში, თითქოს უფრო ახლოს ვერ მოსძებნიდა? ამიტომ სწორედ მადლობის ღირსია სტ. ცისკარიძე, რომელმაც 10 დეკემბერს მოსკოვის პოლიტეხნიკუმის მუზეუმში საჯარო ლექცია წაიკითხა რუსულ ენაზედ „მთის ხალხი“ ალ. ყაზბეგის ნაწერების მიხედვით. ლექტორს მიზნად დაესახა ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერების გარჩევით დაემტკიცებინა რუსის საზოგადოებისთვის, რომელიც, სამწუხაროდ, ძლიერ ნაკლებად დაესწრო, რომ შემცდარია ის აზრი, ვითომ კავკასიაში სისხლის მსმელი ხალხი სცხოვრობდეს. ყაზბეგის მოთხრობების გმირები იმას ამტკიცებენ, რომ ჩვენს ქვეყანაში ველური და სისხლის მსმელი ხალხი კი არ არსებობს, არამედ სამშობლოს მოყვარული, მეგობრობის გამტანი, სტუმართ-მოყვარე, სიტყვის მტკიცედ ამსრულებელი, ქალის პატივისმცემელი და სხვ. ლექტორს პროგრამა ძლიერ ფართო შეედგინა და ზოგიერთ კითხვებზე, სამწუხაროდ, მოკლედ იძლეოდა პასუხს. შესავალში შეეხო, თუ როგორ ყალბად აგვიწერენ რუსის მწერლები კავკასიელთა ცხოვრებას.

საჭირო იყო, ცოტა უფრო ვრცლად მოეხსენებინა რუსის მწერლების მიერ ყალბ ტიპების გამოყვანა. სამაგიეროდ, როცა დაიწყო ყაზბეგის მოთხრობების გარჩევა, აქ მან გამოიჩინა საგნის ცოდნა და უნარი. მშვენივრად აგვიწერა მთის ხალხის ზნე-ჩვეულება, მათი ცხოვრება და ერთხელ კიდევ გვაგრძნობინა ის სიამოვნება, რომელიც გამოგვიცდია ყაზბეგის მოთხრობების წაკითხვის დროს.

ლექციის დასასრულს ილაპარაკა საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ.

ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ეს კითხვა შესავალში მოეხსენებინა. ლექციამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზედ, რომელთაც ტაშისცემით დააჯილდოვეს სიმპატიური ლექტორი.

**ალ. ბურთიკაშვილი.**

## გაზ. „თემი“-ს რედაქტორის საქმე

ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ 16 დეკემბერს თბილისის ოლქის სასამართლოში დანიშნული იყო გაზ. „თემი“-ს რედაქტორის გრ. დიასამიძის საქმე. გ. დიასამიძეს ბრალად ედებოდა მუშათა გაზ. „ლუჩი“-დან (პეტერბურგში გამოდიოდა) გადმოღება „თემი“-ს ფურცლებზე ს. ალექსანდროვსკის წერილისა, რომელსაც სათაურად ჰქონდა „ბედკრული სომხობა“.

ამ წერილში ბეჭდვითი საქმეთა თბილისის კომიტეტმა დაინახა რუსეთის მთავრობის წინააღმდეგი ადგილები და რედაქტორი სამართალში მისცა.

პროკურორმა შეადგინა საბრალმდებლო ოქმი, რომელშიაც ნათქვამია, რომ გრ. დიასამიძის ნებართვით და თანხმობით დაიბეჭდა და გავრცელდა „თემი“-ს № 128—ში ისეთი წერილი, სადაც მოყვანილია რუსეთის დიპლომატიურ აგენტების სპარსეთში და რუსის მთავრობის წარმომადგენლების შესახებ კავკასიაში განზრახ შეთხზული ცნობები, რომელნიც სიძულვილს უნერგავენ მათდამი ყველასო, მაგ., ვითომც ხსენებული დიპლომატიური აგენტები აქეზებენ სომხებს ამბოხების მოსახდენად და ამ გზით არწმუნებენ ქურთებს სომხები თქვენთვის მავნებლები არიანო; ამავე დროს ეს აგენტები ურჩევენ ქურთებს სასტიკად გაუსწორდით სომხებსაო; აგრეთვე ვითომც კავკასიის მთავრობის წარმომადგენელნი აქეზებდენ თათრის ბრბოს დაეცით მშვიდობიან სომხებსაო.

ეს დანაშაულობა აღწერილია სასჯელთა დებულების 1034[4] მუხლის **მესამე** პუნქტში.

ექსპერტმა ბეჭდვითი საქმის თბილისის კომიტეტის წევრმა ივ. პოლუმორდვინოვმა დაამტკიცა, რომ წერილის თარგმანი დედანთან სწორეაო, თუმცა ქართულად ისე მკაცრ შთაბეჭდილებას არა სტოვებსო. ბრალმდებელმა მოითხოვა გრ. დიასამიძის დასჯა საბრალმდებლო ოქმის თანახმად.

გრ. დიასამიძეს იცავდენ ნაფიცი ვექილნი ალ. ყანჩელი და პარმენ გედევანიშვილი. ამათ წარადგინეს ზემოხსენებულ კომიტეტის მოწმობა, რომლიდანაც სჩანს, რომ გაზ. „ლუჩი“-ს № 128, საიდანაც გადმოითარგმნა „თემ“-ში დასტამბული წერილი, სრულებით არ ყოფილა დაჭერილი და მისი რედაქტორიც პასუხისგებაში არ მიუციათ, ამიტომ გრ. დიასამიძეც არ უნდა ყოფილიყო მიცემული სამართალში. დამცველნი, ამას გარდა, ამტკიცებდენ, წერილში სრულებით არ მოიპოვება აღწერილ დანაშაულის ნიშნებიო. გარდა ამისა, გრ. დიასამიძე, როცა ეს წერილი დაიბეჭდა „თემ“-ში, იმ დროს თბილისში არ იყო და საქმეს სხვა განაგებდაო. ყველა ამის გამოისობით დამცველნი მოითხოვდენ გრ. დიასამიძის გამართლებას.

ესევე მოითხოვა თვით ბრალდებულმა და აღნიშნა, რომ გაზ. „ლუჩი“-ს № 128 პეტერბურგში გამოვიდა 6 ივნისს 1913 წ.; თბილისში მოვიდა 11 ივნისს; „თემი“-ს № 128 ში კი დაიბეჭდა ცნობილი წერილი 17 ივნისს; მაშასადამე 12 დღის განმავლობაში გაზეთს „ლუჩი“-ს თავისუფლად ყიდულობდენ ყველანი და მე რაღად უნდა ვისჯებოდეო.

სასამართლომ ამისდამიუხედავად მიუსაჯა გრ. დიასამიძეს 100 მან. ჯარიმა ან 1 თვით დაპატიმრება; დაჭერილ გაზეთსაც არ მოხსნა ყადაღა.

გრ. დიასამიძეს ეს საქმე გადააქვს სასამართლო პალატაში

## გ. ქუჩიშვილის „მცირე შესწორების“ გამო

მკითხველებმა უკვე იციან ჩვენი რედაქციის განცხადებიდან, რომ გ. ქუჩიშვილმა მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენა.

ახლა გ. ქუჩიშვილი გაზ „ფიქრის“ 23 დეკემბრის ნომერში ჩვენი განცხადების გამო შემდეგსა სწერს:

„ამ ოსტატურად შედგენილ საბრალმდებლო განცხადებიდან ისე გამოდის, თითქოს მე მეთხოვოს მისთვის ჩემი ნაწერების გამოცემა და იგიც დამპირებოდეს. ნამდვილად კი, მთელი წლის განმავლობაში, თითონ ბ-ნი გრ. დიასამიძე მთხოვდა ამას(?!), რაზედაც მხოლოდ და მხოლოდ სურვილი განვუცხადე და მეტი არაფერი. რაც შეეხება იმას, ვითომ მე მიმეწეროს მისთვის, რომ მე უფლება არა მქონოდეს ჩემი ნაწერები „თემი“-სთვის მიმეცა, რადგანაც, ვითომ სხვასთანა ვყოფილვარ გარიგებული, — სიმართლეს მოკლებულია. ჩემი ნაწერების ყოველი უფლება ჟერ-ჟერობით **სავსებით** (?!) მე მეკუთვნის და თუ ხსენებულმა რედაქციამ ვერ გამოსცა, ეს მარტო იმიტომ, რომ **პირობებში ვერ მოვრიგდით.** აი ესაა ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ჩემი ნაწერების უკან გამორთმევისა და არა ის, რომელიც მოჰყავს გაზეთ „თემს“. თუ მას სურდა, რომ ეს ასე არ მომხდარიყო, ჯერ მე უნდა მომლაპარაკებოდა გამოცემის პირობებზე და შემდეგ განცხადება გაეშვა.“

ამ წერილის შემდეგ იძულებული ვართ გამოვამჟღავნოთ მთლად ის წერილი, რომელიც მივიღეთ გ. ქუჩიშვილისაგან კვირას, 15 დეკემბერს, შუადღის შემდეგ, როცა პირველი გვერდი (მეოთხეც მასთან,) რომელზედაც მეორეჯერ იბეჭდებოდა პრემიის შესახებ განცხადება, უკვე იყო დასტამბული.

აი ის წერილიც:

„პატივცემულო გრიგოლ! მინდოდა პირადათ მოგლაპარაკებოდით ჩემი ნაწერების გამოცემის შესახებ და... ერთხელ და სამუდამოთ გადამეწყვიტნა ეს კითხვა, მაგრამ **ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო** (?!) იძულებული ვარ წერილობით შეგატყობინოთ ჩემი უკანასკნელი (?!) პირობა ამ საქმის შესახებ. გუშინ მე წერილი მივიღე იმ გამომცემლისაგან, რომლისაგანაც ჩემი ნაწერების გამოსაცემად მისგან გამოგზავნილი 100 მან. შემომეხარჯა. იგი მისაყვედურებს ჩემს დაუდევრობას და მწერს: თუ ნაწერებს გამოსაცემად „თემს“ აძლევ იმ შემთხვევაში დაუყონებლივ ჩემი 100 მან. უკანვე დამიბრუნეო. მე სწორე მოგახსენოთ ამ გარემოებამ მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა. თქვენც დამეთანხმებით, რომ 100 მანეთს გადახდა უნდა. გარდა ამისა მე ჩემი ნაწერების ჰონორარით ჩემი უმწეო მდგომარეობის შეღავათზედაც ვფიქრობდი და ვფიქრობ კიდეცა. ყველა ამისათვის თქვენ უნდა მომცეთ ამ თავითვე 200 მან. რომ მოვალესთანაც შერცხვენილი არ დავრჩე და ჩემს მდგომარეობასაც ოდნავ მაინც უშველო რამე. ყველა ამაებზე სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა პირადად მოლაპარაკება, მაგრამ ახლა კი ძალიან მეძნელება. თუ ამ **პირობის შესრულება სამძიმოდ მიგაჩნდეთ იმ შემთხვევაში გთხოვთ ჩემი ნაწერები ამ ბარათის მომტანის ხელით უკანვე გამომიგზავნოთ.** თუ რამე სათქმელი გაქვთ დღესვე მაცნობეთ წერილობით“.

ეს წერილი სხვაფრივ არ შეგვეძლო აგვეხსნა, თუ არ გ. ქუჩიშვილის-მიერ დადებულ პირობის დარღვევად და აი რატომ:

ჩვენს რედაქციაში გ. ქუჩიშვილის ნაწერების „თემი“-ს საჩუქრად გამოცემის შესახებ საკითხი ამ ერთის წლის წინად აღძრა ჩვენმა თანამშრომელმა მიხ. წულუკიძემ, თუ არ ვსცდებით თვით გ. ქუჩიშვილიც მაშინ იქ იყო. ეს იყო მას შემდეგ, როდესაც ს. აბაშელის ნაწერების გამოცემა უკვე გადაწყვეტილი გვქონდა. პირობები, ს. აბაშელსა და ჩვენს შუა დადებული, მან კარგად იცოდა. ამ პირობებზე ის თანახმა იყო. იცოდა, რომ წინდაწინ ფულს ვერ მივცემდით. თანახმა რომ არ ყოფილიყო, ეს რამდენიმე თვეა თავის ლექსთა კრებულს არ გადმომცემდა და არ დამავალებდა ავგომართელს მოელაპარაკეთ და წინასიტყვაობა დააწერინეთო, რაც კიდეც ავასრულე. გარდა ამისა, ამ უკანასკნელ ჩემდა მომართულ წერილამდის გ. ქუჩიშვილი შემოვიდა ჩემთან და შემომიტანა თავის მეორე კრებული, რომელშიაც მოთავსებული იყო მისი მოთხრობები. ამ უკანასკნელ კრებულის შესახებ ვუთხარი, რომ ეხლა მისი გამოცემა არ შემიძლია-მეთქი. თუმცა კი, ღვთის წინაშე, ამ მოთხრობების გამოცემა უფრო მინდოდა, რადგანაც მის ლექსებზე ეს მოთხრობები უფრო მომწონს, მაგრამ მოთხრობათა კრებული პატარა გამოვიდა და ამიტომ „თემი“-ს საჩუქრადაც არ ივარგებდა. ზემოხსენებულ ჩემდა მომართულ წერილიდანვე პირველად ვსცანი, რომ იგი წინად, ჩვენს ბაასამდის, სხვასთან ყოფილა გარიგებული და ბეც მიუღია. ჩვენ პირდაპირ გაოცებული ვართ, რომ ამის შესახებ არა გვითხრა რა წინად ეს მით უფრო ადვილად შეეძლო, რომ ნოემბერსა და დეკემბრის დასაწყისში „თემი“-ს კორექტორის თანამდებობას ასრულებდა. იქნება კიდეც მოგვეხერხებინა ამ პირობის მაშინ შესრულება. ამას გარდა ამასწინად, როცა შემოვიდა ჩემთან, თითქო გულმა მიგრძნო, წინადადება მივეცი, თუ გსურს პირობა დავწეროთ ერთმანეთ შორის-თქო. ამაზე მან მიპასუხა: „პირობა რა საჭიროა ჩვენ შორისო“? რატომ მაშინ არა მითხრა-რა იმ უცნობ გამომცემლის ან თავის ჰონორარის შესახებ?

გ. ქუჩიშვილისაგან არ მოველოდით, რომ იგი ისარგებლებდა იმით, რომ პირველი განცხადება უკვე დაბეჭდილი იყო. ნუ თუ მას ეგონა, რომ ჩვენ საჩუქარს ველარ გამოვცვლიდით და მოთხოვნას დავუკმაყოფილებდით?!

ჩვენ ხომ კაპიტალისტი არა ვართ და არც მის მადა გვაქვს...

გ. ქუჩიშვილს ის არ მოუვიდა აზრად, რომ თუ გვსურდა მისი გამოცემა, მხოლოდ იმიტომ, რომ გვინდოდა სამსახური გაგვეწია ჩვენი ახალ მწერლობისათვის!.

ჩვენ პირად სარგებლობას არას გამოველოდით, რადგანაც ეს პრემიები ზარალის მეტს არას გვაძლევს.

ახლა ყველამ და თვით გ. ქუჩიშვილმა ჰსაჯონ, ვინ ჩაიდინა ჩვენ ორში „ოსტატობა“ ან იქნება უფრო უარესიც!...

**გრიგოლ დიასამიძე.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით ჩემი უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ყველა იმ პირთ, რომელთაც ჩემი პატიმრობის დროს (1910-1913) ზნეობრივი თუ ნივთიერი დახმარება აღმომიჩინეს როგორც მე, აგრეთვე ჩემს ცოლშვილს.

**იოსებ იმედაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
**გრიგოლ დიასამიძე.**


**მოვაჭრეებს, აგენტებს, ვოიაჟერებს,** ვიწვევთ ახალი სორტის მაუდის გასასყიდად. ეს მაუდი საყოველთაოდ გამოსაყენებელია ყველა დროისათვის. **სასარგებლო პირობები და მუდმივი ხელფასი.** პირობები და მიწერ-მოწერა **უფასოა.** მიწერ-მოწერა რუსულად არის საჭირო. Фабрикантъ Х. Олдакъ, Бѣлостокъ № 70. м. 4—3

წიგნის მაღაზია
**„ც ო დ ნ ა“**
სოსიკო მერკვილაძისა.

დამზადებულია სკოლებში სახმარებელი დიდძალი სახელმძღვანელო წიგნ... ქართულს, რუსულს და ევროპიულს ენაზედ.

აქვეა: ჩვენი მწერლების თხზულებანი და ყოველგვარი ქართული წიგნ... აგრეთვე: ჩვენ მწერალთა, გამოჩენილ კაცთა და მსახიობთა დიდი სურათები ... თო ათი შაური: ნარდათ მყიდველებს ფას დაკლებით.

მიღებულია მრავალი კალენდრები 1914 წ. ქართულსა და რუსულს ენებზ...

მისამართი: თბილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძეს.

ხელოვნურად — სამკურნალო და



შეზავებული — ხილეულობის წყალი

**მიტროფანე ლაღიძე და ამ...**

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდი... ლი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ... რცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სა... კურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411 ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.

**„თემი“-ს რედაქციის გამოცემა.**

ს. აბაშელის ლექსთა კრებული
**„მ ზ ი ს ს ი ც ი ლ ი“**
ავტორის სურათით და ბ. ივანე გომართლის წერილით.
**ფ ა ს ი 50 კ ა პ.**

ვინც გამოიწერს ფას-დადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25 %, საკომისიოთ—20 %.

**მისამართი: გაზ. „თემ-“ის კონტორა.**

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**ქსენიას ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტ... ლის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 59...**

**სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრე... და საერთო ოთახები. განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებ... შემდეგი ექიმი-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ.. ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.<br>ექ.-ქ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე ა.** ყოველ დღე გარდა კვირისა 1—2 |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ დღე 11½—12½).<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და სამშ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12,<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოველ დღე, გარდა ოთხშ.) 1-1½ს<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | **ჯაგახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ. და შაბათ. 12—1<br>**ფონდოევი გ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ., ყელ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½.<br>**ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყ... ბული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშხა... პუნება,** ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათი... ნი საფასურით.

**„გრამოფონები „მონარქი“**

საფაბრიკო საწყობი **გ. ს. დავიდოვისა**

**გოლოვინის პრ. № 6; თბილისის საკრებულოს ქვეშ ტელ. 10-38**

✦ განყოფილება: ავლაბარი, კახეთის მოედანი, სახლი ვართანოვისა. ✦

დიდ-ძალი ასარჩევი ფირფიტები და გრამოფონები საკუთარი მოდელების „იაკორის“ მარკისა.

ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

მიღებულია სადეკლამაციო ფირფიტები: მგოსანი აკაკი წერეთელი კითხულობს თავის ლექსებს.

გვთხოვთ მიაქციოთ ყურადღება მარკას „Якорь“


ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სორაპანი“. მადათოვის კუნძული.